ივლისი და აგვისტო 1905

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		83
I	თავისუფალი ცხოვრება. ფერადი სურათი	3
II	ყაყაჩო ლექსი—შიო მღვიმელისა	5
III	კოტე და ბუერთი იგავი—ალ. მირიანაშვილისა	7
IV	ნიკორა ძროხა და რუხი კატუნა რუსულიდან—ტასოსი	8
V	სამი ძმა-კაცი არაკი—ალ. მირიანაშვილისა	10
VI	ჰატარა გურული—ალდო ალნიაშვილის რეეულიდან . .	11
VII	ერთი უღელი ხარი ზღაპარი—მ. კინწურაშვილისა . . .	14
VIII	ზანტი ჰასანა, ფრანგულიდან ალ. სარაჯიშვილისა . .	17
IX	ეკლიანი სათამაშო (გადმოღებული რუსულიდან)—ქეთოსი	27
X	სახუმარო გასართობი ერთი მასხარას ამბავი	37
XI	შარადა და სხვა ამოცანები	39
XII	უცნაური ბარტყი (გადმოღებული) ლექსი—ქეჯოსი . .	41
XIII	ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა ე. სისოევისა. (თარგმანი)—ნ. ენუქიძისა	45
XIV	სპილენძის საათი ფრანგულიდან—ალ. ბეშვენაძესი . . .	60
XV	ტროადის ომი: მხედრობის პირველი უბედური ნაბიჯი—ა. უუმისთავლისა	64
XVI	რუსის დესპანობა მე XVII საუკუნეში (დასასრული)—ალ. სარაჯიშვილისა	68
XVII	ყრუ მუნჯების და ბრმების მეგობრები—ან წერეთლისა .	82
XVIII	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა—სან-ინისა	89
XIX	გამოსაყენი ცოდნა და წერილმანი	95

რედაქცია უმორჩილესათა სთხოვს, რომ ვისაც ჟურნალის ხვედრი ფული არა აქვთ შემოტანილი დააჩქარონ მისი გამოგზავნა.



საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ VII—VIII

წელიწადი მეთექვსმეტე

ტფილისი

სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41

1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Сентября 1905 г.

თავისუფალი ცხოვრება.

ᲣᲐᲣᲐᲩᲝ.

ᲣᲐᲣᲐᲩᲝ მქვიან სახელათ,
მეც ყვავილი ვარ ველისა;
მიყვარს წითელი სამოსი,
კოხტათ დაჭერა ყელისა.

თან მოვდევ გაზაფხულობით
ენძელასა და იასა,
ისე შევხარი მინდორსა,
როგორც ყმაწვილი ძიასა.

რამწამს გავჩნდები, ბალღები
სიმღერით მეგებებიან,
მე მათ სიცოცხლე მახარებს,
ისინი ჩემით სტკბებიან.

მაგრამ ეს კია დღე-მოკლეს
დიდხანს არ მედგომინება;

ხომ არ დავიწყებ ტირილსა
ბუნებამ ესე ინება:
მე მოვკვდე, როგორც შიკრიკი
გაზაფხულისა პირისა,
ფარ მყოფელი ზამთრისა,
მისგან მომდგარი ჭირისა.
და სხვამ იხაროს ჩემ შემდეგ,
ფფრო ძლიერმა ყვავილმა,
რომ ვერაფერი დააკლოს
ყვავ-ყორნებისა ჩხავილმა.
მან და ძმებს გადაფლოცოს
პაპისეული ალამი,
ახლა მათ მისცენ გაზაფხულს
გამარჯვებისა სალამი...
ყაყაჩო მქვიან სახელათ
ველია ჩემი მშობელი,
მე მისი პირმშო შვილი ვარ
მის გულის შემამკობელი.

შ. მღვიმელი.

კოტე და ბურთი.

I გავი.

ოტე ბურთაობდა. ბურთი მეზობლის ვენახში გადუვარდა. ჩუმათ ღობეზე აბობღდა და ბურთის საძებრათ ვენახში გადვიდა. ბურთი მალე იპოვა, მაგრამ ძწიფე ყურძენს რომ თვალი მოჰკრა, ვერ მოითმინა, მიუბრუნდა და ოქროსფერ მტევნებს დაუწყო კრეფა; გაივსო უბე კალთა და მერე ისევ ვენახიდან გადმოვიდა

მეორე დღეს კოტეს ისევ მოაგონდა ტკბილი ყურძენი. გამოიტანა შინიდან ბურთი, იმავე ადგილს თამაშობა დაიწყო და ბურთი განგებ ვენახში გადისროლა. გადვიდა ისევ ღობეზე; მაგრამ, დახე იმის ბედს, ვეღარც ბურთი იპოვა, მეზობელმაც მოასწრო, კარგათ გამოსილაქა და ტირილით შინ გამოისტუმრა.

ალ. მირიანაშვილი.

ნიკორა ძროხა
და
რუხი კატუნა.



ნიკორას რუხი კატუნა შეუჩნდა, ბევრ ლაქუცს შემდეგ ჩააცივდა:

— მოდი, ჩემო ნიკორავ, მეგობრულათ, ძმურათ ვიცხოვროთ, ერთმანერთისთვის თავი არ დავზოგოთ; მე სულით და გულით შემიყვარდი. წამო წავიდეთ ტყეში, იქ თავისუფლებაა. შვენიერი ბალახი ბლომათ გექნება, ჩემი კრუტუნით თავს შეგაქცევ. მგლებს და დათვებს არ მოგაკარებ. ეხვი საზრდო არ გამოგელევა.

კატუნას ტკბილმა სიტყვებმა და ლაქუცმა გაიტაცეს ნიკორა, გაჰყვა მას დაბურულ ტყეში. იქ კატუნამ მოწველა, დალია ერთ ულუპათ რძე და მიწვა დასაძინებლათ.

როცა გაიღვიძა, მოწველა კიდევ რძე, გადაყლაპა და უთხრა: «ღმერთმა მიცოცხლოს, ნიკორავ, შენი თავიო».

ტყეში მოდიოდენ მგელი და დათვი, დაინახეს ნიკორა და თქვეს მოდი ეს ძროხა გავგლიჯოთო.

კატუნამ მოკკრა თვალი თუ არა იმათ, თავს უშველა, ხეზე აცოცდა. დარჩა ნიკორა მარტო, იფიქრა სხვის იმედით ვერაფერს გავხდებიო, რქებით დაეტაკა მგელს და მერე მოკკურცხლა ტყიდან, მივიდა თავის ფარეხში და იქ დარჩა.

დიდხანს იჯდა კატუნა ხეზე, ბოლოს მობეზრდა და გასწია ნიკორას მოსაძებნად.

ჩუმ-ჩუმათ მიეპარა იმას რუხი კატუნა, დაუწყო ლაქუცობა, ალერსი და თავისი რბილი ბალანი მიუსვ-მოუსვა ნიკორას დინგს.

— წამო, ჩემო ნიკორავ, ტყეში, თავისუფლათ ვიცხოვროთ. ყოველთვის მაძღარი და მუდამ ქეიფში იქნები.

ნიკორას გაეცინა და უთხრა:

— მადლობელი ვარ, კატუნავ, შენი ალერსი და ხსოვნა კვლავაც არ მომაკლოს ღმერთმა, მაგრამ გამოყოლით-კი არ გამოგყვები. ცულლუტი ხარ, კატუნავ, მიგიხვდი შენ ცულლუტობას. მე-კი არ გიყვარვარ, ჩემი რძე გესაჭიროება. ახლა-კი ვისწავლე შენგან, რომ ყველასთან არ ვარგა მეგობრობა და არც დასაჯერებელია ტკბილი სიტყვები.

რაკი გაიგო რუხმა კატუნამ, რომ კერპ ნიკორასთან ვერას გააწყობდა, კუდ-ამოძუებული მოშორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ძმა-კაცი.

ხალხური არაკი.

ყოფილ-და არა იყო-რა, იყო სამი ძმა-კაცი: ერთი ტიტ-ველი, მეორე შიშველი, მესამეს არა ეცვა-რა. სახ-ლი არ გააჩნდათ და კარი, რომ თავიანთი ცხოვ-რება როგორმე მოეგვარებინათ.

ერთხელ არჩიეს, რომ საშოვარზე სადმე წასულიყვენ. ია-რეს, იარეს, ბედზე გზაში კურდღელს წააწყდენ; ჯოხი ეს-როლეს და მოჰკლეს. დაღამებულზე მივიდენ ერთ ადგილს, სადაც სამი სახლი ნახეს: ერთი ოხერი, მეორე ტიელი, მესამე ცარიელი. მიიხედ-მოიხედეს, ბევრი არჩიეს და ბო-ლოს ტიელი სახლი ამოირჩიეს. შევიდენ შიგ, დაათვალი-ერეს—არა იყო-რა; მხოლოთ თაროზე სამი ქოთანი შე-ნიშნეს: ერთი გატეხილი, მეორე დაჩხვლეტილი, მესამე უძი-რო. კურდღელი ამ უძირო ქოთანში ჩადეს მოსახარშათ. ხარშეს, ადუღეს და ბოლოს, ჭამა რომ დააპირეს,—ნახეს, რომ ხორცი ქოთანს ძირს გასვლოდა, წვენი კი შიგ დარ-ჩენილიყო.

ალ. მირიანაშვილი.

პატარა გურული.

ლადო აღნიაშვილის რეფულიდან.

ტამბოლიდან ბათუმს გემი მოდიოდა. გემში ყველა გვარისა და ყველა რჯულის სალხი იჯდა: რუსი, ქართველი, სპარსი, სომეხი, ფრანგი, ინგლისელი და სხვა. იქვე იყო ერთი თორმეტი წლის უმაწვილი, ტანთ დაკონკილი ტანისამოსი ეცვა, განზე გამდგარიყო და იქიდან ნადირივით დაბღვერილი გამოიყურებოდა. ეს იყო გურული. ამ ერთი წლის წინეთ ვიღაც მაწანწალა ჯამბაზებს გამოევლოთ ამათ სოფელში, ენახათ ეს ცქვიტი უმაწვილი, მოსწონებოდათ. «ადვილათ ისწავლის ჩვენს ხელობასო, მოდი გავურიგდეთ ამის დედ-მამას და თან წავიყვანოთო», ეთქვათ ერთმანეთში და შეეჯრებოდენ იმის მამას. მამაც გაჭრიგებოდა, ჩამოერთმია ფული და გაეტანებინა შვილი.

წასულიყვენ ჯამბაზები, წაეყვანათ თან უმაწვილი. ბევრი უცხო ადგილები გადაევლოთ, ბევრი ახალი ქალაქები მოეტარებინათ. მაგრამ ჭამა-სმა არ იყო თურმე ამ უმაწვილისთვის და ჩაცმა-დახურვა; ცემით სომ სულს ართმევდენ. ყოველ წამს, ყოველ საათს სცემდენ, რაც ძალი და ღონე

ჰქონდათ, გინდა თუ არა, ჩქარა ისწავლე ეველა ჩვენი ოინების კეთებაო.

ემაწვილს ეთმინა, ეთმინა, ბოლოს ველარ მოეთმინა. სტამბოლში რომ მისულიეკენ, გაქცეოდათ. ამ დროს ვილაც ღვთისნიერი კაცი გამოსჩენოდა და თავისი ხარჯით გამოესტუმრებინა სამშობლოში. ახლა ემაწვილი უნდა მისულიეო იქ, სადაც მისმა მამამ ჰირუტევიით გაეიდა და ვილაც ჯამბაზებს გაატანა.

ემაწვილი იდგა საშინლათ დაღონებული, ძალზე გაძხარი, დაფლეთილი ტანისამოსით. ეველას უნდოდა იმისი ამბის შეტეობა. ეველანი გარს ეხვეოდენ: ზოგი რას ჰკითხავდა, ზოგი რასა. ის ჰასუხს არავის აძლევდა; იდგა გარინდებული. ეველა სძაგდა, ეველა ეზიზღებოდა. ორი-სამი კაცი-კი ისე ჩააცივდა, ისე ჩააცივდა, რომ ცოტ-ცოტა ლაპარაკი გააბედვინეს. ბოლოს მოუეა ისიც თავის თავ-გადასავალს და დაწვრილებით უამბო ეველაფერი მაშინ ზოგმა შებრალებით, ზოგმა სიმთვრალით, ზოგმა კიდევ თავის გამოსაჩენათ აქეთ-იქიდან ფულები გადმოუყარეს. აძათ მიჭბაძეს სხვებმა, ამ სხვებს კიდევ სხვებმა და ორ-სამ წამში ემაწვილს ფული ბლომათ მოუგროვდა. აიღო ამანაც ეს ფულები, მიჯდა კუნჭულში და ფიქრობს. ეს რა კარგია, ახლა ფული ბლომათა მაქვს. ერთი წელიწადია კუჭი არ გამძღომია, ახლა ერთ დიდებულ სადილს მოვითხოვ აქ და გემრიელათ შეეექცევიო. ერთი წელიწადია ეს კონკები ვერ მოიშორებია, ახლა ერთ ჩოსა-ახალუსს ვიეიდი და გვერდებს გავითბობ.

ერთი წელიწადია შინიდან წამოვსულვარ, ახლა მივალ ჩემ სოფელში, დედ-მამას ფულებს მივუტან, ეგებ ჩემზე ცოტა გული მოიბრუნონ და შემიუკარონო.

ეს რომ ამ ფიქრებში იყო, იქვე მახლობლათ სუფრა ჭქონდათ გაშლილი და საღილს შეექცეოდენ ისინი, ვინც ამას ჰირველათ ფულები გადმოუყარეს. ცოტა რომ შესურ-დენ, ლაპარაკი გაახშირეს: ლაპარაკობდენ ამ მთისას, იმ მთისას. ბოლოს იმ ქვეყნებზე ჩამოაგდეს ლაპარაკი, საი-თაც ახლა მიემგზავრებოდენ – დაიწყეს ბათუმზე და მერე მთელ საქართველოზე გადავიდენ. ერთმა თქვა: საშინელი ცუდი გზები და სასტუმროებია ამ ქვეყანაშიო. მეორემ და-უმატა: თვითონ ხალხიც ძეტის-მეტი ბინძური და ჭუჭყია-ნიაო. მესამემ ზედ დაურთო: საშინელი ბრიყვი და გაუნათ-ლებელია მთელი ქართველობაო. მაშინ მეოთხემ დაიწყო: ქართველი ხალხი გაურჯელი, ზანტი, უმეცარი, უსინიდი-სოაო... ვიდრე ის ამ სიტყვებს დაათავებდა იმათ სუფრაზე სეტყვასავით წამოვიდა გროშები და თეთრი ფული; ზოგი სუფრაზე დაცვივდა, ზოგი ძირს იატაკზე და ზოგიც შიგ თავსა და ჰირში მოხვდა ამ წუნია ვაჟბატონებს.

წამოცვივდენ სუფრიდან გაბრაზებული მოქეიფენი და აქეთ-იქით დაიწყეს ეურება. ამ დროს წამოჭყო თავი ჰატა-რა გურულმა და გაშფოთებულმა შესძახა:

— წაიღეთ ეგ თქვენი ფულები და თავში ისალეთ. მე მოწყალებას არ ავიღებ იმისთანა ხალხისაგან, რომელიც სძრახავს და აგინებს ჩემ საშობლო ქვეყანასაო.

ერთი უღელი ხარი.

ზღაპარი.

ერთ მეგრელს ორი ხარი ჰყავდა. ეს ძოსვენებას არ აძლევდა მეორეს, რომელსაც უნდოდა ჰირველისთვის ორივე ხარი წაერთმია. ერთხელ მან კიდევაც დაიჭირა ისინი, ორივეს ენის წვერი წააჭრა და გაუშვა. მეორე დღეს მივიდა ხარების ჰატრონთან და სთხოვა, ხარები მომეცით.

— რა ხარები? — ჰკითხა ჰატრონმა.

— აი, აი ის ხარები, — უჩვენა მან იქვე ხარებზე, — ისინი ჩემია.

— ჯვუიდან ხომ არ შეშლილხარ, მეგობარო, როდინდელი შენია?

— ჩემია, ჩემი.

— რა საბუთი გაქვს მაგისი? — ჰკითხა ჰატრონმა.

— აი რა, ჩემ ხარებს ორივეს ენის წვერი წაჭრილი აქვს.

ნახეს და მართლაც აღმოჩნდა, რომ ენის წვერი ორივეს წაჭრილი ჰქონდა. რას იზამდა, პატრონმა ხარები დასთმო.

რამოდენიმე ხანი გავიდა. ხარების პატრონი დაფიქრდა, რა სისულელე მომივიდა ხარები რომ ძივეცი, ამნაირათ ხომ მთელ ჩემ ქონებას წამართმევს ის წეულიო,—და დაიწყო საშუალების მოგონება, თუ როგორ დაებრუნებინა უკან თავისი ხარები.

ერთხელ სხვისი ტანისამოსი ჩაიცვა და მინდვრათ გავიდა. მახლობლათ ხარების წამრთმევი იმავ ხარებით მიწას ხნავდა. ცოტა მოშორებით გაჩერდა და ყვირილი დაიწყო:

— მიკვირს! მიკვირსო!

მხვნელი ცნობის-მოუვარეობამ შეიპყრო. შორიდან დაუყვირა:

— რა გიკვირს რა, კაცო!

ამას-კი ვითომც არც-კი ესმრდა, ისევ ყვიროდა:

— მიკვირს! მიკვირსო!

მხვნელმა გუთანი და ხარები მიატოვა და იმის გასაგებათ წავიდა თუ რაში იყო საქმე, რა უკვირდა იმ კაცს. ამასობაში მეკვირალას მოსამსახურემ, წინათ განზრახულმა, ერთი ხარი მოხსნა და წინ გაირეკა. მხვნელს ეს არ დაუნახავს, მივიდა მეკვირალასთან და ჰკითხა:

— რა დაგემართა, რა გიკვირს, კაცო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არ მიკვირს, ცხვირის წინ ხარებს გართმევენ და ვერც-კი შეგიმჩნევია. . აი რა მიკვირსო...

მოსულმა უკან გაიხედა, ნახა ერთ ხარს ვიდაცა მიერეკებოდა... უკან დაედევნა. ამასობაში ჰატრონი მეორე ხართან მივიდა და უღლიდან გამოხსნა. მეგრელი ვერ დაეწია ხარის მტაცებელს, დაბრუნდა უკან, მეორე ხართან, მაგრამ რას ხედავს? იმასაც სხვა მიერეკება. აქ კი უველაფერს მიხვდა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

მ. კინწურაშვილი.

(გადმოკეთებული რუსულიდან)

ზანტი ჭასანა

(ფრანგულიდან)

ეო ჭამა ქალაქს, სირიაში, ერთი კაცი სიზანტი-ი განთქმული. თუ არ «ზანტი ჭასანა» იმ კაცს ქალაქში სხვა სახელი არა ჭქონდა.

სიზანტეს კიდევ არა უმავს-რა, მაგრამ ჭასანა თავი-კერძი კაცი იყო და მუნწიც. მამამ სიკვდილისას უანდერძა ათასი ბაჯაღლო, მაგრამ ჭასანამ ერთი ოქროც არ უწილადა თავის უმცროს ძმას მუსტაფას. აიღო ეს ფული, ერთ დიდს ყურ-მოტეხილ ქილაში ჩააწყო, ზედ ჯღანები გადააფარა და სარდაფში ხარახურაში მიმალა. გუნებაში ასე ამბობდა: ცოლი რომ დამიბერდება და ვეღარ შემინახავს, ამ ოქროს ამოვიღებ და—ჩემს საცხოვრებლად ხომ მეყოფა!.. ერთხელაც ფიქრად არ მოსვლია იმ გულქვას თავის ცოლისათვის ორიოდე გროშით მაინც ხელი შეეწყო.

ცოლი-კი, ჭადიჯა, ოქრომკედის კერვით თვალებს იწყალებდა, დღე და ღამეს ჯაფაში ასწორებდა, რომ ზარმაცი

ქმარი და წვრილი შვილები ერჩინა. მაგრამ, რაც უნდა გამრჯე იყოს დედაკაცი, მაინც მნელია ნემსის წვერით მთელი ოჯახის შენახვა. ზოგჯერ ისეთი დღე დაუდგებოდა ჭადიჯას, რომ მის ნაკერებს მუშტარი არ უჩნდებოდა და ოჯახი უსარჩოდ რჩებოდა. ამ გაჭირებაში ჭადიჯას ტალკვესი მისი მაზლი იყო, მუსტაფა ვაჭარი, რომელიც სიმხნითა და გულ-უხვობით სულ არა ჭვანდა თავის ძმას ზანტ ჭასანას. ბევრჯელ უბაასნია ჭადიჯას თავის მაზლთან თუ, როგორ გადაეჩვევინათ ჭასანა ზარმაცობას, მაგრამ ვერა იღონეს-რა.

ერთხელ ჩავიდა ზანტი ჭასანა სარდაფში ი ავის საუნჯის დასახედავად და ვეღარ ნახა.— «ვაიმე, მიუგნიათო!..» გამოვარდა გველ-ნაკბენივით, გაფითრებული და მიიჯრა ცოლთან:

— დედაკაცო! სარდაფში რომ ეურ-მოტეხილი ქილა იდგა, რა იქნა? იქ აღარ არის.

— ეურ-მოტეხილი ქილაო? ეს ორი დღეა რაც გავეიდე. ერთი ვიღაც ეგვიპტელი ვაჭარი, ქაირისკენ მიდენილი, დაიარებოდა, იმას მივეიდე ორ აბაზად. ჯღანებიც გავაეოლე.

— შე ოჯახ-დაქცეულო! მერე იმ ქილაში ხომ მამი ჩემის ნაანდერძევი ათასი ოქრო ეწუო!

— შე კაი კაცო, მე რა ვიცოდი? შენ დღეში მაგ ფუ-

ლისა არაფერი გითქვამს ჩემთვის და აბა რას მოვიფიქრებდი. ახლა რაღა გვეშველება!?

— ვაიმე, დავიღუპეო!—წაიშინა ჭასანამ თავში,—როგორ-ღა უნდა ვირჩინო თავი, შენ რომ დამიბერდები და ველარ იმუშავებ?

ამ დროს მუსტაფაც მოვიდა და ძმამ წუწუნით უამბო თავისი უბედურობა.

— არც ისე ცუდად ეოფილა საქმე, როგორც შენა გგონია, - უთხრა მუსტაფამ.—ის კაცი ქაირს წასულა და შენც გაუდეგ ქაირის გზას. თუ ჩქარა ივლი, დაეწევი. სულ ორის დღით არაა შენზე წინ?

ვერაფრად ეპიტნავა ზანტ ჭასანას ასეთი რჩევა: მოდი შენ და იარე ქაირამდე, ცოტა გზა-კი ნუ გგონია!

— მოდი ერთი, ჩემო მუსტაფა, და გაისაჯე. მონახე ის ეგვიპტელი და ჩემი ფული გამომირთვი. შენი უფროსი ძმა არა ვარ? ჩემი სამსახური არა გმართებს?

— დიაღამც მმართებსო, - მიუგო მუსტაფამ,—და დიდის სიამოვნებითაც წავალ, მაგრამ იცოდე-კი, თუ ის ფული ვიპოვე, ნახევარს გასამრჯელოში დაკინარჩუნებ.

— ნახევარსაო? გამეცლიფე რაღა! შენც შეგარცხვინოს, შენი მმობაცა! მაშ თუ ეგრეა, მე თითონ წავალ და მოვძებნი იმ ეგვიპტელსა. ერთ გროშსაც არ დავაკლებ ჩემს ათასს ბაჯაღლოს. სვალვე წავალ. აი ჭადიჯა მამცემს გზის ფულსა და წავალ.

— ჭადიჯას რა აბადია, რომ შენ მოგცეს? შენ მაგით ვერას გახდები, ძმაო, თუ გინდა მე გიშველი, მკირფას ლარსა და ფარჩებს მოგცემ, თან წაიღე, გაჰყიდე, რასაც მოიგებ, გზის ფულად მოიხმარე. ერთ აქლემსაც გათხოვებ, ზედ შეჯექ და საქონელიც აჰკიდე.

— ღმერთმა დაგლოცოს, ჩემო მუსტაფაო,—უთხრა ჭასანამ,—აბა, ძმობაც ძაგისთანა უნდა.

მეორე დღეს დილით ჭასანა, მკირფას საქონლით დატვირთულ აქლემზედ შემჯდარი, გაუდგა დამასქის გზას, რომლითაც ეგვიპტელი ვაჭარი უნდა წასულიყო.

თაკის დღეში ზანტ ჭასანას ამდენი ჯაფა არ გამოევლო, რაც ამ მგზავრობაში ნახა.

ორ დღეში დამასქს ჩავიდა. დროც იყო, რადგანაც ცოლის გამოტანებული საგზალი გამოლეოდა. ქარვასლაში რომ შეისვენა, გაძოვიდა ბაზარში ზანტი ჭასანა და ეგვიპტელ ვაჭრის ამბის კითხვა დაიწყო. ერთმა იერუსალიმიდან მოდენილმა ვაჭარმა უამბო: მართლადა, გზაში ვიღაც ეგვიპტელ ვაჭარს შევხვდიო. ბევრნაირი საქონელი მიჰქონდა და ეურ-მოტეხილი ქილაც ალბათ იმას ექნებოდაო.

«ის ეგვიპტელი ვაჭარი სწორედ ჩემი ქილის მეიდველი უნდა იყოსო,—იფიქრა ზანტმა ჭასანამ.—ახლავე უნდა დავედევნო, რომ იერუსალიმში მივასწროო».

დიაღამც, უნდა წასულიყო იერუსალიმს, მაგრამ სად

იყო შემლება? რაც ცოტაოდენი ფული ჭქონდა ზანტ ჭასანას, ქარვასლაში შემოეხარჯა. სხვა ღონე რომ აღარა დარჩა-რა, გასხნა ცალები, ამოიღო რამდენიმე ფარჩა და გაიტანა ბაზარში გასასყიდად. კაი ფასად გაჭყიდა. მოგების ნახევარით აქაური საქონელი შეიძინა, ნახევარი-კი საგზაოდ შეინახა.

ორ დღეში ზანტი ჭასანა იერუსალიმში გაჩნდა. აქაც ბევრი ეძება ეგვიპტელი ვაჭარი, მაგრამ ჯაფამ ფუჭად ჩაუარა: ვერცა ნახა და ვერც მისი ამბავი შეიტყო. ამ ძებნის დროს ცოტა რამ ივაჭრა და კიდევ კარგი მოგება ნახა. წასძლია სიხარბემ, ზარმაცობაც დაავიწყდა, მიჭყო ხელი ვაჭრობას და ისე კარგად წაიყვანა თავისი საქმე, რომ ცოტას ხანში ათასი ბაჯაღლო მოიგო.

«ახლა-კი წავალ ქაირში. იქაც ვივაჭრებ, ამ ათასს ბაჯაღლოს ერთი ოთხად გავხდი, იმ ვაჭრის წაღებულს ათასს ოქროსაც ზედ დავადებ და გავწევ საშშობლოსკენ ხუთი ათასის ოქროთი. ტყუილად მაინც არ დამეკარგება ამდენი ჯაფა».

ასე დაასკვნა თავის გულში ზანტმა ჭასანამ და ასეთი გადაწყვეტილება ხუმრობა საქმე როდი იყო. ქაირამდე ვეება და საშინელი სინაის უდაბნო ედო წინ გასავლელი და, სიხარბე რომ არა ეოფილიყო, ოღონდაც ზანტი ჭასანა მოგებულს ათასს ოქროსაც იკმარებდა და ჭამა ქალაქისაკენ გასწევდა.

ჭასანამ იუიდა ერთი აქლემიც, დატვირთა ორივენი საქონლითა და საგზლით და დაეშვა მეწამურის ზღვისაკენ. საღამო ჟამს დაქანცულმა და მშიერ-მწყურვალმა ძლივს მიაწია ერთს ოაზსს, და ღამის გასატარებლად აქ ჩამოხდა. ჩამოხსნა ერთს აქლემს ხურჯინი საგზლითა და ვახშმად გაეწყო.

საცოდავი აქლემებიც ძალიან დაღლილიუვნენ, ისე შემოსცქეროდნენ შავის ჯკვიანის თვალებით თავიანთ ბატრონს, თითქო ევედრებოდნენო: «დაგვხსენ, შე მამაცხონებულო, ეს ცალები. ამოდენა ტვირთის ზიდვით ქანცი გაგვიწყდა. დაგვხსენ ტვირთი, რომ ჩვენც სული მოვიბრუნოთ და შევისვენოთო».—ზანტი ჭასანაც ჭკვიქრობდა მოეხსნა ცალები, მაგრამ ზარმაცობამ წასძლია: «ეჰ, არა უშავსრა, დატვირთულნიც კარგად დაისვენებენო. ვისა აქვს თავი მაგათის დახსნისა და აკიდვისა!?»

მეორე დღეს, ზანტს ჭასანას რომ გამოეღვიძა, ელდა ეცა. აქლემები აღარ იუო და მათთან ერთად, რასაკვირველია, ცალებიც ძვირფასის ფარჩებით. წაიშინა ჭასანამ თავში: «ვაიმე, გამქურდესო! უეჭველია, მაწანწალა არაბები გამქურდავდნენ... რა წუალში ჩავვარდე ახლა და ამ უდაბნოს როგორ დავაწიო თავიო!»

მოაგონდა ჭასანას წუხელის რომ აქლემებს ტვირთი არ მოხსნა და თავის დღეში ჰირველად შეინანა თავისი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარმაცე: «მე რომ წუხელის არ დამზარებოდა, ეს დღე არ დამიდგებოდაო. მოვსსნიდი იმ ცალებს, ზედ დავწვებოდი და ეგრე ადვილად როდიღა გამმარცვამდნენო».

ბევრი ინანა ზანტმა ჭასანამ, მაგრამ ცარიელის სინანულით რას-ღა გააწყობდა? ადგა, აიკიდა საგზლით ხურჯინი და გასწია. თავის დღეში იმდენი არ ევლო, რაც იმ დღეს იარა. საღამოს შესვდა ერთი მოხუცი. დაქანცული ჩამჯდარიყო და სულს იბრუნებდა.

«ღმერთი შეგეწიოს, შვილო, თუ შენც შემეწევიო,— უთხრა მოხუცმა.—სიარულის ღონე აღარა მაქვს და შიმშილით ლამის მოვკვდე.

— მე რა უნდა გიშველო, თუ-კი შენსავით ღარიბი და უპურო ვარ?—მიუგო ჭასანამ ძუნწობით გულ-შეპერობილმა.

— თუ არა გაქვს-რა, რაღა გაეწყობა, მაგრამ თუ გაქვს და მალავ, ღმერთმა მოგკითხოს».

დახედა ძუნწმა ჭასანამ ღონე-მიღებულს მოხუცსა და გული მოელბო. ჰირველად იგრძნო ის უცხო გრძნობა, რომელსაც სიბრალული ჰქვიან.

— მართალი სარ, მამაო!—უთხრა ჭასანამ,—კინაღამ ღმერთს შევცოდე. დიაღამც შემიძლიან და მინდა შენი შველა. აჭა, ეს საგზალი. ჯამე რამდენიც გენებოს და ღმერთმა შეგარგოს.

ჭასანამ მოიხსნა ხურჯინი და წინ დაუდო. მერე ამო-

იღო ქისიდან ერთი ოქრო და ახუქა: «წაიღე ეს ოქროცაო, რადგან პირველად შენ შემაგნებინე ადამიანის სიბრალულიო».

— მაშ თუ ეგრეა, ახლავე მიიღე შენის სიკეთის სამაგიერო,—უთხრა მოხუცმა.—ამ ღამეს მმარცველებს ვიღაც მგზავრი გაუქურდავთ, ორი აქლემი ძვირფასის საქონლით დატვირთული წაუსხამთ, დაუმალავთ, თითონ-კი ხელახლა სადღაც წასულან სათარეშოდ. აი იმ კლდეებს რომ ხედავ, იქ არის ორი აქლემი დამალული თავისის ცალებით. გასწი ჩქარა, ვინძლო მიუსწრო.

გაეშურა იქითკენ ზანტი ჭასანა. სწრაფად იარა, თუმცა დაღლილი იყო. მივიდა და თავისი ორივე აქლემი-კი ნახა, ეველა მისის საქონლით, უკლებლივ.

მეორე დღეს ჭასანა კვლავ დაადგა ქაირის გზას და ორი კვირის მგზავრობის შემდეგ უფათერაკოდ მიაწია ქაირს. რა მივიდა, მაშინვე ძებნა დაუწყო იმ ეგვიპტელ ვაჭარს, მისი ყურ-მოტეხილი ქილა რომ წამოეღო და თან ათასი ოქროც, მაგრამ მაინც ვერ მიაგნო.

«ამ ძვირფასს დროს ძებნაში რადა ვკარგავო?—იფიქრა ზანტმა ჭასანამ.—სჯობს ისევ ვაჭრობას მივეო ხელი, ის უპოვარი ვაჭარი-კი, თუ არის სადმე, ხომ როდისმე გამოჩნდებაო.»

იქირავა ჭასანამ დუქანი, დაალაგა თავისი საქონელი

და დაიწყო ვაჭრობა. ერთ წელიწადში ისე წარიმართა, რომ ათი ათასი ოქრო მოიგო.

ასე მიდიოდა დრო და ზანტს ჭასანას ზნე და ხასიათი თანდათან ეცვლებოდა. უწინდელის სიზარმაცისა და სიმუნწისა აღარა შერჩა-რა. ჭასანა მხნე, გამრჯე და გულ-უხვი კაცი შეიქნა. სამ წელს დაჭეო ჭასანამ ქაირში და ისე გამდიდრდა, რომ დიდ ვაჭრებში ითვლებოდა. ამასობაში იმ მგვიპტელს ვაჭარს თუმცა ემებდა, მაგრამ მაინც ვერ ჭეოულობდა ბოლოს გადასწყვიტა ხელი აეღო დაკარგულ ქილის ძებნაზედ და სამშობლოში დაბრუნებულიყო. გაჭეიდა სახლი და რაც საქონელი დარჩენოდა და წამოვიდა.

ჭამა ქალაქს რომ მოვიდა, ცოლ-შვილი მშვიდობით დახვდა. შეიტყო მუსტაფამ მმის მოსვლა და გახარებული მოიჭრა. დასხდნენ ვახშმად მხიარულნი, სვეს და სჭამეს. ჭასანამ უამბო ყველა თავისი თავ-გადასავალი და გამდიდრება და ბოლოს დასძინა: «ის ყურ-მოტეხილი ქილა-კი ათასის ოქროთი მაინც ვერ ვიპოვეო».

— ეგ ქილა თავის ბაჯაღლოებით აქ არისო,—უთხრა ჭადიჯამ.

ჭასანა სასტად დარჩა: «როგორ თუ აქ არისო?!..»

— განგებ მოვიგონეთ მე და ჩემმა მაზლმა იმ ოქროების დაკარგვა, რომ შენ საძებრად წასულიყავ და მგზავრობაში შენს ზარმაცობას გადაჩვეულიყავ და ვაჭრობა დაგეწყო,—მიუგო ცოლმა,

— აჰა, თქვე ლაწირაკებო! დახე როგორ მოუტეუებივარ? მაგრამ რა, შვილოსა! თუ გავბრიუვდი, განა რა წაგებაში ვარ? ეს რაც სიმდიდრე შევიძინე, ჩემო ძმაო, სულ ჩემის ამაგითა და შენის მოცემულის საქონლით მიშოვნია, ამიტომ მოგების ნახევარი სიმართლით შენ გერგება. ჩემთვის ისიც დიდი მოგებაა, რომ ჩემს ზარმაცობას და მუნწობას მოვრჩი.

ალ. საროიჯიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლიანი სათამაშო.

—

ავსულია, კვირა დღე. შუა დღე წამოსულა. ცა მოწმენდილია, კრიალი გააქვს. საშინელი სიცხეა. უცებ საიდანღაც გაჩნდა ცაში ჰატარა შავი ღრუბელი, მას მოჰყვა მეორე, მესამე, შეუერთდენ ერთმანეთს და გადაეკვრნენ ცის სივრცეს; ცოტახანს შემდეგ წამოვიდა წვრილი, ხშირი წვიმა.

სასეირნოთ გასული ბავშები ძალიან გააკვირვა ამ მოულოდნელმა მოვლენამ.

— «როგორ,—წამოიძახა ერთმა მათგანმა,—წვიმაც და მზეც ერთ და იმავე დროს! გადია, რას ნიშნავს ეს?»

— იმას ნიშნავს, ჩემო ბატონო, რომ შინ უნდა წავიდეთ. ეს წვიმა თუმცა სოკოს წვიმაა, მალე გადიღებს, მაგრამ მაინც შესაძლებელია დავსველდეთ, უპასუხა გამდელმა. ოლინკა,—მიმართა მან ჰატარა ქალს—გაშალე ქოლგა და შენ-კი, ტასო, კაბა აიწიე.

ამ სიტყვებით მოხუცმა თითონაც შემოიკალთავა კაბა და გაეჩქარა შინისკენ. ბავშებიც ლაპარაკით და სიცილ-კიკინით დაედევნენ იმას. მაგრამ გავიდა ხუთი-ექვსი წუთი და გადიღო წვიმამ, თითქოს სასაცილოთ აიგდო ემაწვილები, რომელნიც უკვე სახლის აივანზე იდგენ და იბერტყედენ დასველებულ ტანისამოსს.

— გადია, შენა თქვი წელან, რომ სოკოს წვიმაო, რა არის ეს სოკოს წვიმა, რათ ეძახიან ასე?—დაეკითხა სონა გამდელს.

— იმიტომ ეძახიან, რომ ასეთი წვიმის შემდეგ სოკო ძალიან გახშირდება ხოლმე. აი თუ კინდათ წავიდეთ ხვალ მახლობელ ტყეში და გავავსოთ სოკოთი კალათები.

ყველანი გაახარა ამ წინადადებამ. ჰატარა ჰეტრე მხათიეო ახლავე მოეკურცხლა ტყისაკენ. მას ეგონა, რომ გადიღო თუ არა წვიმამ, სოკო მაშინვე ამოვიდოდა. ეს ფიქრი გაუზიარა კიდეც თავის უფროს ძმებს და დებს, რომლებმაც დაუწყეს დაცინვა. ჰეტრე გაჯავრდა, გაწყრა. გამდელმა ამაზე უთხრა:

— სოკო, მართალია ძალე იზრდება, მაგრამ არც ისე, როგორც გგონია, იმასაც უნდა დრო. ახლა ნესტიანია მიწა და ბალახი სველი, აი ხვალ-კი ავდგეთ ადრიანათ და წავიდეთ სოკოზე.

დანარჩენი დრო მომავალ სეირნობაზე ლაპარაკით გაატარეს...

ის იყო მზემ უური ამოჭყო და შეანათა ბავშვების ოთახში, რომ ოლინკას გამოეღვიძა, აიწია საწოლიდან, მიიხედ-მოიხედა; უველას ეძინა ჯერ, გამდელსაც-კი. სჩანს ძალიან ადრეა, გაიფიქრა მან. ამავე დროს გამდელმაც წამოჭყო თავი ლოგინიდან, ახედა ოლინკას, თავი გააქნია და უთხრა:

— დაიძინე, ჯერ ადრეა, არ გააღვიძო დანარჩენები, ნუ გეშინიან, არ დაგვიგვიანდება.

ოლინკამ გაიღიმა და მალე თავი მისცა ისევ ტკბილ ძილს.

ჩვეულებრივ დროს გაეღვიძა გამდელს, ადგა, ჩაიცვა ჩუმათ, პირი დაიბანა და ილოცა. ლოცვის შემდეგ გასწია სამზარეულოში ეკვის მოსამზადებლათ, მაგრამ ამ დროს მოესმა ხმა:

— გადია, შეიძლება ავდგე? დრო არის მგონი! ამიდიც ეტუობა კარგია, ავდგები და სხვებსაც გავაღვიძებ—ეუბნებოდა გადიას მოუსვენარი ოლინკა.

მაგრამ სხვების გაღვიძება აღარ დასჭირდათ, უველანი წამოიშალენ თავისთავათ და იწყეს ჩაცმა, თან გატაცებით ბაასობდენ, თუ ვინ რომელ კალათს წაიღებდა და რამდენ სოკოს აიუვანდა.

— კარგი, მოისვენეთ,—უწურებოდა გამდელი,—ასე ადრიანათ სად წავალთ, ტუეში სისველეა, ნესტია, აბა გაიხედეთ ფანჯარაში, როგორი ნამი მოჩანს ბალახზე. ფეხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგისველდებათ, თავბრუ დამახვიეთ თქვე საძაგლებო! დამაცადეთ უავა მაინც დავლიო.

მაგრამ უმაწვილები მაინც არ ცხრებოდენ, ეხვეოდენ ბებერს სიმღერით და ჟივილ-ხივილით. გამდელი თითქოს ჯავრობდა, ტუქსავდა, მაგრამ მისი კეთილი, ალერსიანი სახე სიყვარულით გამოიყურებოდა.

აგერ ძლივს ეღირსათ, მოემზადენ ყველანი; თვითეულმა მათგანმა კალათი აიღო ხელში და გამდელმა კიდევ ტომარა ხავსისთვის, რომელიც საზამთროთ ფანჯრის ჩარჩოებში დასატანებლათ დაჭირდებოდა. როდესაც დედის საწოლ ოთახის ახლო გაიარეს ბალღებმა, ყველანი უცებ გაჩუმდენ, არ უნდოდათ გაეღვიძებინათ.

აი ის ტყეც, საითაც ასე მოუთმენლათ მიეჩქარებოდენ ბავშები და იმედმაც არ უმტყუნათ: ჰირველათ მწიფე მარწყვს წააწყდენ, მიჭყვეს ხელი და გაასაღეს. გადადგეს კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ლექსომ სოკოც დაინახა, თუმცა არაფერი შვილი იყო, მაგრამ მაინც, როგორც ჰირველათ აუვანილი, დიდი ამბით ჩაასვენეს კალათში.

რამდენიც შიგა-და-შიგ ტყეში შედიოდენ, იმდენი მეტი ხვდებოდათ სოკო და მარწყვიც; კალათები ნახევრამდის მოჭყარეს.

სიამოვნებით და მოძრაობისგან უმაწვილებს ჰირისახეები ძალზე დაუჭარხლდათ. ხოლო ჰატარა ჰეტრემ-კი ვერა იჰოვნა-რა, რადგანაც სოკოს მოძებნის თავი არ ჭქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა არც ხელ-ცარიელი მიდიოდა, ზურგზე ეკიდა გამდ-ლის ტომარა, სავსით სავსე.

— აბა, ბალღებო,—მიმართა გამდელმა, როცა კარგახნის სირბილის შემდეგ უმაწვილები მოიქანცენ,—დრო არ არის შინ წასვლისა? ხომ დაიღალეთ კიდეც!

— რას ამბობ, გადია, წასვლა როგორ იქნება, ჯერ ადრეა, თუ ღმერთი გწამს, აი იქით წავიდეთ!—შეეხვეწა ოლინკა.

უველანი გაიქცენ, მაგრამ ერთ ალაგს მალა-უნებურათ გაჩერდენ. მათ წინ არხი დახვდათ.

— გადავალთ, გადავალთ როგორმე,—ინუგეშეს თავი.

— მე ახლავე გადავხტები,—წამოიძახა ლექსომ და მართლაც ერთ წამს მოექცა არხის მეორე ნაპირს.

დანარჩენები-კი გამდელმა რიგ-რიგათ გადიყვანა.

— ვიპოვე, ვიპოვე სოკო, წითელი, მოისმა ჰეტრიკას ყვირილი.

დასწვდა ასაყვანათ ხშირ ბალახებში ჩამალულ სოკოს და უცებ საცოდავათ წამოიყვირა, თან ტირილი მოაყოლა.

— რა იყო, რა! მისცვივდენ უველანი.

შეეშინდა მოხუცსაც და დაისარა გასაშინჯათ, თუ რამ შეაშინა და აატირა უმაწვილი.

— მოდით, ნახეთ, ბავშებო, ჰეტრიკას თურმე ზღარბი უპოვია, აი ესეც თქვენი სათამაშო, თქვა გამდელმა ღიმილით.

ჰეტრიკამ ტირილი შესწყვიტა, ცოტა ხანს შემდეგ იღიმებოდა კიდეც და თან ელზე ეხვეოდა გადიას.

შეიკრიფენ ყველანი ზღარბთან, რომელიც გორგალივით მორგვალებულიყო, გამოეშვირა თავისი ეკლები და ტკბილათ ეძინა ბალახებში.

— თუ გინდათ — წავიყვანოთ, გაგართობთ, უთხრა გამდელმა უმაწვილებს, — მხოლოთ ფრთხილათ-კი, მე ავიყვან, აი ასე! — და მოხვია თავისი შალი ზღარბს; შემდეგ ჩასვა ტყავის ჰარკში. უმაწვილებმა მომეტებული ჟივილ-ხივილი ასტეხეს.

— აბა ასლა კიდევ ვისეირნოთ, თუ შინ წავიდეთ? — მეეკითხა მათ მოხუცი.

— წავიდეთ, წავიდეთ, დედას ვუჩვენოთ ეს სასაცილო ზღარბი, უპასუხეს უმაწვილებმა.

— ჰეტრიკას წითელი სოკო რაღა იქნა? მოიგონეს ყველამ ერთხმათ.

როდესაც მოიტანეს და გამდელმა გაშინჯა — შორს გადისროლა.

— ეს ხომ ბუზიკალია სოკოა, მე კარგი მეგონა. თუმცა გარედან ლამაზია, მაგრამ არაფერში არ გამოდგება, არც შეწვა შეიძლება მაგისი, არც მოხარშვა. ალბათ იმიტომ ამოსულა, რომ ჰეტრიკას ზღარბი ეპოვნა. მე დაგისახელებთ კაი სოკოები რომელიც არის და კარგათ დაიხსომეთ: ნიყვი — ამოდის ივანობისთვეში და ენკენისთვეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სილამაზით, აგრეთვე გემოთიც ითვლება სოკოების მეფეთ. ხახვილო—მტრედის ფერია, საჭმელათ გემრიელია მოდის ივანობისთვეში. მტრედო—ესეც მტრედის ფერია, ხახვილოს წააგავს. ღვინიო—ღვინისფერია, საჭმელათ მტრედოზე ნაკლებია. ტარბუკა—ფერათ კრემის ფერია, გემოთი ნიუვსაც სჯობია, ტარი მსხვილი აქვს გამხმარიდან კარგი წვენი კეთდება, ჩასადებათაც ძალიან კარგია. მჭადო—ჭეჭკეტასაც ეძახიან—მუქი ყვითელია, რომ გატეხ, თეთრი რძე გამოდის, გემოთ ტკბილია, უმსაცა სჭამენ. ვარუა—ფერათ თეთრია, ძალიან ბევრი მოდის უფრო მთებში, როგორც მჭადოს თეთრი რძე გამოდის, ძალიან მწარეა, როცა შეიწვის, სიმწარეს ჰკარგავს. შავ-ჩოხა—ვარუას ჰგავს, ფერი რუხი, აქვს მწარე არ არის. წიფლიო—მოწითლო ფერი აქვს, თხელი სოკოა და გემოთი ღვინიოს წააგავს. ქამა—გარედან თეთრია, შიგნით ღვინისფერი, მოდის შემოდგომაზე მაღალ ადგილებზე, მინდვრებში, რომელიც ზოგან სულ გადაიფარებიან. ჰატარა სოკოა და გემო კარგი აქვს. ჩასადებათაც კარგია. ცხვარო—იგივე ქამაა, მხოლოთ დიდი იზრდება ნიუვისოდენა, ქამაზე 10—15-ჯერ მეტია, გემოც უკეთესი აქვს. მაჭკოლა—მოდის შემოდგომაზე ნაყანებში, უფრო გამხმარ ჩირგვის ძირში, ამოდის ბევრი ერთათ, ჯგუფათ. ამ სოკოს ახმობენ, ზამთარში სწვავენ კეცებზე, შეკაზმენ ძმრით და სჭამენ. მანძილო—გამხმარ ხეზე

ებმის მთაში. სანამ თოთოა და რბილი მოაცლიან ხეს, დაჩლეთენ, შესწვავენ კეცებზე, შეკაზმენ ძმრით, ნიგვზით და სხვ. გემრიელი საჭმელია. თუ დიდხანს დარჩა ხეზე გამაგრდება და აბედათ იქცევა. გუგულის სოკო — გაზაფხულზე მოდის ბოსტანში. გემოთი და ფერით ქამას წაჭვავს, მხოლოთ ქამაზე მეტი იზრდება. სოკო-შავა და კიდევ სხვა მრავალია. ასე დაასრულა გამდელმა და უმაწვილები სახლში წაიყვანა.

მალე ბალღები მხიარულათ მიეგებენ დედას და უჩვენეს ნაპოვნი.

— ახლა რა უნდა უყოთ, მაგას? — ჰკითხა დედამ.

— ჩვენ კარგი რამ მოვიგონეთ, თქვეს ბავშებმა, თუ ნებას მოგვცემ; აი რა? დღეს ხომ სტუმრათ მივდივართ მიხასთან, ზღარბსაც თან წავიყვანთ, იმასაც ალბათ არ უნახავს თავის დღეში და ბარემ ვაჩვენებთ. როგორ იკინებს მიხა, სტუმარს რომ მივუყვანთ! მანამდის-კი კალათში იყოს, ემინოს, ნუ შევაწუხებთ; კალათში ჩავუფინოთ ბალახი და ხალიჩა გადავაფაროთ.

თქვეს და შეასრულეს კიდეც. საუზმის შემდეგ მივიდენ კალათთან და ჩაიხედეს შიგ. ზღარბი აღარ იყო.

ახადეს კალათს, ნახეს კარგათ, მაგრამ ზღარბის ხსენებაც არსად იყო. დაღონდენ. ზღარბის პატრონმა პეტრიკამ ტირილიც მორთო.

— კმარა, ნუ ტირი, ჩემო პატარავ, — ამშვიდებდა გადია,

—ღირს განა ტირილათ! წამოდი ტანისამოსი გამოიცვალე, ხომ სტუმრათ მიდიხართ, იქ მხიარულათ გაატარებთ დროს; ხვალ დილით-კი ისევ წავიდეთ ტყეში და ვინ იცის, იქნება ვიპოვოთ ზღარბი. და ან-კი რისთვის გინდათ, ახლო ვერ მიეკარება, ადამიანი დაჩხვლეტს.

ცოტა ხანს შემდეგ დაშოშმანებული ჰეტრიკა ემზადებოდა სტუმრათ წასასვლელათ, მხოლოთ გამდლის დაპირება ფიქრიდან არ გამოსვლია.

ახლა გავიგოთ რა იქნა ზღარბი. როდესაც ის ჰირველათ დაიჭირეს ტყეში და ჩასვეს ჰარკში, ძალიან შეეშინდა და მაშინვე დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გაენთავისუფლებინა ტყვეობიდან თავი. შინ რომ მოიყვანეს და კალათში გადასვეს, კალათა-კი ღია ფანჯარაზე დადგეს, ეს ძალიან ეამა მას.

რამწამს ბავშები გაეცალენ, ფრთხილათ ამოვიდა ჰატარა ცხოველი კალათიდან, მიიხედ-მოიხედა, შეიკუმშა, დარგვალდა გორგალივით და ერთ წუთს გადაგორდა ფანჯრიდან. რა სიმაღლიდანაც უნდა გადავარდეს ზღარბი არაფერი დაუშავდება, ეკლები იფარავს მას.

ამგვარათ ზღარბი ბაღში გაჩნდა და მიუხედავათ თავისი მოუხეშავობისა, საჩქაროთ გაიარა დიდი მანძილი და დაიმალა ბუჩქნარსა და ბალახებში, სახლის მოშორებით. მოეწონა ეს ადგილი, გადასწყვიტა, რომ აქ უფრო ნაკლებათ საშიში იყო მისი ცხოვრება, ვიდრე ტყეში და შეუდგა სოროსთვის ალაგის ძებნას. ამოირჩია ერთი ასკილის ბუჩქი, ამოთხარა ღრმა სორო და მიზიდა თავისი ეკლებით ბლომა ფოთოლი

და ხავსი შიგ ჩასაგებათ. მერე შრომის შემდეგ, დაწვა დასასვენებლათ, იო ასე რამდენიმე ხანს, მზის ჩასვლის მოლოდინში, ბნელაში მას შეეძლო უშიშრათ გასვლა თავის ბინიდან და ვასშმისათვის საზრდოს შოვნა. ბაღი და მინდვრები სავსე იო სხვა-და-სხვა მწერებით და მინდვრის თაგვებით, ზღარბისთვის ეს საუკეთესო საჭმელი იო.

ასე და ამგვარათ ჰეტრიკას ზღარბი ჰირველი დასახლდა ბაღში, ხოლო სამ წელს შემდეგ ისე გამრავლდენ, რომ უველა ბილიკზე შეხვდებოდით მათ და ადარავისთვის არ იო ასალ ამბათ მათი ნახვა. უმაწვილებმა დაასლოვებით გაიცნეს ზღარბი და მისი ზნე-ჩვეულებანი, გაიგეს ისიც, რომ ზღარბს სარგებლობა მოაქვს ბაღებისთვის მით, რომ აშორებს ათასგვარ ჭია-ღუას, რომლისგანაც ფუჭდება ხშირათ ბაღები, ხეხილები.

ბალღებმა შეიტყეს ისიც, რომ ზღარბის გაშინაურება ძალიან ძნელია, რადგანაც თავისუფლათ ცხოვრება იმას უველაფერს ურჩევნია და ამიტომ აღარ იჭერდენ და არ ამწუვევდენ. მხოლოთ ხან-და-ხან ეშმაკური ღიმილით დაეკითხებოდენ თავიანთ გადიას:

— საჭირო ხომ არ არის წამოვიუვანოთ ზღარბი ერთი ღამით ჩვენ სარდაფში? ხომ კიდევ არ გაჩნდენ შიგ თაგვები და ჭიები? ის ხელათ გასწუვეტს მათ.

მოხუცებულიც უპასუხებდა ამაზე:

— პალე, ძალე მოვიწვევთ ზღარბს სამსახურის გასაწევათ, ჯერ-კი არ არის საჭირო და დეე ისეირნოს თავისთვის თავისუფლათ.

ქეთო.

სახუმარო გასართოგი.

ერთი მასხარას ამბავი.

მოდი ერთი ჩაეძვრები ამ დიდ კასრში. ისე მოეთავსდები როგორც საკუთარ სახლში.

—



სახლის პატრონმა მისძახა მოსამსახურებს:—ჩქარა წყალი მოიტანეთ და ჩაასხით ამ დიდ კასრში. დეე, ცოტა იბანაოს. ძაბრიც თან მოიტანეთ.

—

— ასხით წყალი, ასხით რაც შეიძლება ბევრი... დალიე ჩემო კარგო, რამდენიც შენ სულსა და გულს უნდოდეს.

—

— ახლა-კი გეყოფა. ერთი კარგა მაგრათ თავი დაეხუროთ. შენ თვალთმაქცობა არ გაგივა.

—



— ეს რა სასწაული ხდება. დიდი კასრი რათ ინძრევა? განა მასხარა არ დამხრჩვალა!

—

— მიშველეთ, მიშველეთ! ეს ვეება კასრი მოგორავს ჩემკენ.

—



„გამარჯვება ბატონებო, როგორა ბრძანდებით?“

—



ყველამ დაიწყეს ხარხარი. მასხარას თურმე ისეთი ტანისამოსი სცმოდა, რომ წყალი არ მიეკარებოდა.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი გ. ლადო შვილისგან).

ავილე სალაშინი, გაეკარ-გამოეკარ,
წაუსე-წამოუსეი და გასასალაშინებული
ხე წავასალ-წამოვასალაშინე.

ზ მ ა.

(შედგენილი სოდ. გოშაძისგან).

მართამ არ იცის ხუმრობა,
არ აწყენინო, ალხინე;
აქეთ ევა ნიჭიერი
და ეით ია მობიბინე.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მისგანვე).

თუ ჩამოსთელი ხელის თითებს,
მე რომ ვფიქრობ იმ რიცხვს ჰპოვებ,
ბოლო ასო გადაგდე,
იმას სხვებთან ნუ დასტოვებ.
ეს პირველი. მეორეთ-კი
რაჭის დაბას მოიგონებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი მთაა—მონასტერიც,
თუ-კი ნახავ—მოიწონებ.

ამოცანები.

—— გააკეთეთ ამ ორ წუმწუმისაგან ჯვარი, მაგრამ ისე-კი, რომ ერთმანერთზე არ გადასდოთ?



ამ 12 წუმწუმას მოაკელით 4, მერე ისევ მიუმატეთ 4, მაგრამ ამ ოთხ ოთხ-კუთხის მაგივრათ უნდა გამოიყვანოთ სამი თანასწორი ოთხ-კუთხი.



ამ 17 წუმწუმას მოაკელით 5 ისე, რომ დაგრჩეთ სამი თანასწორი ოთხ-კუთხი.

ვინც ამ ამოცანებს გააკეთებს საჩუქრათ მიეცემა ნახატებიანი წიგნი: „ბუნება სურათებში“ (ერთი წიგნი თბილისელ ხელის-მომწერს და ერთი ქალაქ-გარეთელს).

ა ბ ს ნ ა

№ VI უურნალ „ჯეჯილის“ გამოცანებისა.

შარადა: ბუხარი.

უცნაური შვიდიანი ექვსი ნაჭრიდან ასე გამოვიდა.



უცნაური ბარტყი.

(გადმოდებული)

ხეს ქვეშ ეგდო საცოდავათ
მერცხლის ბარტყი ცოცხალ-მკვდარი:
ბოროტებას უკვე ეხლო
ამ საწყლისთვის მტრული ბჭყალი.

—

ისრით ჰქონდა დაკოდილი
ჩიტუნიას სუსტი გული...
სულსა ლევდა, შიშით კრთოდა,
დარდით, სევდით მოქანცული.

—

არ უნდოდა ჯერ სიკვდილი...
გულს სწყუროდა ჯერეთ ლხენა...
ნავარდობა, ცუღლუტობა
და ჰაერში ცელქი ფრენა.

—

უცბათ გაჩნდა ამ საწყალთან
უცნაური რალაც სული,

ხელი ახლო, გაუშინჯა
ჩიტს გულ-მკერდი განგმირული.

—

უთხრა: „თუ გსურს, მე განგკურნამ,
დაგიბრუნებ ლონეს, ძალსო,
მაგრამ მარტო მაშინ, თუ შენც
ამისრულებ ამ სიტყვასო:

—

მაგიერათ უნდა მომცე
ის, რაც გიყვარს, გწამს და გჯერა...
ის, რისთვისაც მუდამ ისმის
მაგ პატარა გულის ძგერა“...

—

სახტათ დარჩა ჩიტუნია.
თუმც დაუგდო სულს მან ყური,
ვერ მიუხვდა, ვერ გაიგო
მან პირობა უცნაური.

—

„თუ სიცოცხლეს კვლავ მიბრუნებს,
სურს შთამბეროს ძველი ძალა,
მაშ უკანვე რაღას ითხოვს
მასვე სული... მაგრამ კმარა!

—

იგი ხუჭრობს, თორემ განა
თვით არ იცის, რაც სწამს გულსა?
განა რა სჯობს ერთი ქვეყნათ
სიცოცხლეს და სიყვარულსა?..“

—

და დასთანხმდა პირობაზე.
სულმა ახლო ნატკენს ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი მოხდა მართლაც საქმე
უცნაური, საკვირველი!

—

ჩიტი მორჩა... ძველებურათ
იგრძნო ისევ ნორჩი ძალა
და გიჟური სიხარულით
გასაფრენათ ფრთა გაშალა.

—

მაგრამ შეკრთა ჩიტუნია...
შიშისაგან ელდა ეცა:
სულს უნდოდა სასყიდელში
მისთვის ფრთები შეეკვეცა.

—

აკანკალდა... თავს დაეცა
სევდისა და გლოვის ზარი...
მიუბრუნა სულს დამტანჯველს
მან თვალები ნამტირალი.

— „სასყიდელი დიდი არის!
თუ არ მექნა აბა ფრთები
ხომ თვით იცი, თავისუფლათ
ვერც ვირბენ, ვერც გავფრინდები.

—

მაშ რათ მინდა მე სიცოცხლე
შეზღუდული, აეი, კრული?..
განა მონას შეუძლია
ნეტარება, სიყვარული?..

—

თავისუფლათ ცაში ფრენა—
აი ჩემთვის ნატვრა ერთი...

ეს განძია, ეს მადლია
ცასთან მიწის შემაერთი...

—

უარს ვამბობ სიცოცხლეზე,
იგი ჩემთვის მეტი არი...
არ მსურს მაგ გზით მე ნაშოვნი
შემრცხვენელი საჩუქარი“...

—

ამ სიტყვებში ჩიტუნიამ
ჩააქსოვა თვისი გრძნობა.
მისმა სევდამ, მისმა ტანჯვამ
სულში აღძრა თანაგრძნობა.

—

უთხრა: „რაკი, ჩემო ჩიტო,
ეგრე დაჰგმე ყოფა კრული
მაშ გაფრინდი, ხელს არ გახლებ!“
ჩიტმა შექნა სიხარული,

—

ფრთა-ფრთას შეჰკრა, დაუსტვინა
ნაეარდობა იწყო ცაზე...
და სალამით ნუგეშს ჰფენდა
დაჩაგრულებს ქვეყანაზე.

ქიზი



ჯვაროსნული გალაშქრება ბავშებისა.

(ე. სისოევისა)

I

მოდიან, მოდიან!

ქვესასი წლის წინათ, ქალაქ მარსელში გაისმა საკვირველი ხმა. გაიძახოდენ: ვანდომის მიდამოებში მრავალი ბავშები იკრიბებიან, რომ გაანთავისუფლონ იერუსალიმი და მაცხოვრის საფლავი არაბთა მონობისაგანო. ამბობდენ, ვითომ უმთავრესი სარდალი ბავშთა ლაშქრისა, აღფრთოვანებული წმიდა მიზნით, უბრალო მწყემსია, სახელათ სტეფანეო. ის თურმე ამბობსო: „ანგელოზი გამოშეცხადა საწყალი მწირის სახით და მიბძანა: წადი და იქადაგე ქრისტიანობა მუსულმანთა შორისო“.

ყმაწვილები ათასობით თურმე იკრიბებოდენ იმ სოფელში, სადაც სტეფანე ცხოვრობდა; არა თუ მარტო უბრალო ხალხის შვილები, არაჰედ მდიდართა და სახელოვან ოჯახთა შვილებიც გამსჭვალული იყვენ დიადი სურვილით: დავტოვოთ სამშობლო, დედ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა, ძმები, დები, მეგობარნი და შეეუერთდეთ ჯვაროსანთა ლაშქარს, მიმავალს წმიდა ადგილისაკენ და გავანთავისუფლოთ საფლავი უფლისა ურწმუნოთა მფლობელობისაგანო.

საკვირველი არ არის, რომ ამისთანა ხმები დიდათ აღელვებდა ყველა გონიერ კაცს. ისინი უწოდებდენ ამ ყმაწვილების განძრახვას ბავშურ სისულელეს. მაშინდელი საფრანგეთის მეფე ფილიპ ავგუსტი და პარიჟის უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერნი საბუთიანათ წინაალმდეგობდენ ყმაწვილთა ჯვაროსნულ გალაშქრებას. ხალხი-კი მეფისა და მეცნიერთა ლაპარაკს ყურადღებასაც არ აქცევდა, იგი უსაყვედურებდა ყველას, ვინც-კი ხელს უცრიდა ბავშების წმიდა მიზნით გალაშქრებას. „თქვენ, ალბათ გშურთო, ყვიროდა ხალხი, რომ უფალმა უმანკო ბავშებს მიანდო დიდებული საქმე, რომლის გულისთვისაც მეფეები, პრინცები და გამოცდილი მეომრები ასე დიდ ხანს და უნაყოფოთ იბრძოდენო“.

1212 წელს მარიობის თვეში, ქალაქ მარსელში ერთ ღვინის სარდაფში, შეიკრიბა დიდრიცხოვანი საზოგადოება; იქ იყვენ ადგილობრივ შეძლებული მცხოვრებნი და სხვაგნიდან მოსულნი ვაჭარნი, გემების პატრონები, მდიდარი ხელოსნები, ქალაქის წარმომადგენელნი და სტუმრები. მათ შორის გაცხარებული ბაასი იყო გამართული იმაზე, რაზედაც ამ ხანათ მთელი მარსელის მცხოვრებთა ყურადღება იყო მიქცეული. ერთი იქ მყოფთაგანი, რომელსაც თავის თვალით ენახა ბავშთა კრება, ხმა-მაღლა უამბობდა დანარჩენებს ზოგიერთ შემთხვევებს ამ საკვირველ მოვლენისას.

— რა დროს შეესწარით!—გაიძახოდა ის აღელვებული ხმით: —მადლმა ღვთისამ განაბრწყინა მოულოდნელათ ათას გამოუცდელ ყრმათა გონება. ისინი სიხარულით სტოვებენ სამშობლოს, ოჯახს და მიეშურებიან რათა შეუერთდენ უბრალო ყმაწვილ მწყემსს, რომელიც ღირს-ჰყო უფალმან თავისთან საუბრისა. უფულოთ, უიარაღოთ და სხვათა დაუხმარებლათ, გამხნევებული მხოლოთ საარწმუნოებრივის ძალით, ეს ყმაწვილები მიეშურებიან უცნობ ქვეყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისკენ, გამსჭვალულნი იმ აზრით, რომ დაიხსნან წმინდა სასაფლაო უფლისა არაბთა ხელიდან. მათ არ აშინებს არც ხანგრძლივი მოგზაურობა ზღვით, არც განსაცდელი, რომელიც მოელისთ მათ შემდეგში! თვით უფალმა უჩვენა ბავშებს მათი მიზანი. უფალმა ჩაბარა დროშა თავისი ჯვარისა უბრალო ბიჭს, მწყემს და ამით აღამაღლა იგი ყველა ამ ქვეყნის თავადებზე. მწყემსებმა პირველათ სცეს თაყვანი ყრმა იესოს ბაგაში მწოლარეს და მწყემსებივე გამოჰგლეჯენ მის წმიდა საფლავს არაბების მფლობელობისაგან და აღმართავენ მაზე ჯვარს ჩვენი მხსნელისას!..

დიდმა უმრავსლესობამ აღტაცებით მოისმინა ეს აღმაფრთოვანებელი სიტყვა, გარდა რამდენიმე კაცისა, რომელნიც ეჭვით აკანტურებდენ თავს.

— მეგობრებო!—დაიწყო რაიმუნდმა, პატივცემულმა ეაჭარმა —ჩემი აზრით, ჩვენ ყველამ უნდა ვილოცოთ, რომ უფალმა აშოროს საფრანგეთს ეს საშინელი უბედურება—ჯვაროსნული გალაშქრება ბავშებისა. განსაჯეთ გონივრულათ, შესწევსთ თუ არა ძალა ბავშებს ამისთანა ლაშქრობისთვის? უფულოთ, უიარაღოთ ისინი უცხო ქვეყანაში მიდიან საბრძოლველათ და მერე ვისთან? მამაც და ბრძოლაში გამოცდილ მუსულმანებთან! სისულელე არ იქნება გამარჯვების იმედი ვიქონიოთ? საშინელ პასუხის გებაში მიეცემიან განკითხვის დღეს ისინი, რომელნიც აქეზებენ ამ საქმეში უსუსურ ბავშებს. დაფიქრდენ რამდენ მშობლებს აატირებენ, რამდენ ოჯახს გაუბედურებენ! დიდი უმეცრებაა! საშიშარი საქმეა. ვინ იტყვის რომ ყველა აქ მყოფთაც არ მოელოდეს ასეთივე მწარე ხვედრი? ხმა დადის, ვითომც მეტი წილი პატარა ჯვაროსანთა მშობლების ჩუმათ იპარებიანო.

უცხო ეაჭართა რიცხვში, რომელნიც შეკრებილიყვენ სარდაფში, ორი უცნობი პირი ერია, რომლებიც რამდენიმე კვირის წინეთ მოსულიყვენ მარსელში უდიდესი გემებით. ეს გემები იმათ ქალაქის ნავთსადგურში ეყენათ და დატვირთვას ელოდენ. თუმცა ამ ორ ვა-

ჭარს ყველა თავაზიანათ ეკიდებოდა, მაგრამ გარეგნობით როგორ-ლაც საეჭვო პირებს წაადგებდენ. ისინი უფრო ზღვის ყაჩაღებს ემსგავსებოდენ, ვიდრე მშვიდობიან ვაჭრებს. ჩამომავლობით სიცილიელები იყვენ. ერთს ეძახდენ გუგო ფერეუსს; შაგვრემან, ბანლიან პირისახეზე ღრმა ჭრილობის კვალი ეტყობოდა. მის ამხანაგს პორკუსს უფრო საზიზღარი ნიშნები ჰქონდა: მარცხენა თვალი ამოჭყუტოდა და ზედ დაფარებული ჰქონდა შავი მჩვარი. რაიმუნდის ლაპარაკის დროს ორივე მეგობარი ეშმაკურათ გადახედავდენ ხოლმე ერთმანეთს და ბრაზით აკრაჭუნებდენ კბილებს. ბოლოს გუგომ ვერ მოითმინა და გესლიანათ შენიშნა:

— თქვენ, ბატონო ჩემო, როგორც გატყობთ ურწმუნო ყოფილხართ, რადგან ღვთის განგებაც არა გწამთ.

ცალ-თვალა მისმა მეგობარმა პორკუსმა დაუმატა:

— ის, ვინც გულ-გრილათ უყურებს მართლ-მორწმუნე ბავშთა გალაშქრებას, იმ ბავშთა, რომელნიც სტოვებენ დედ-მამას და სამშობლოს უფლის საფლავის გამოსახსნელათ ის ქრისტიანი არ არის.

ამ სიტყვებმა რაიმუნდი ძალიან გააცეცხლეს. ის წამოხტა და გაბრაზებით შეჰყვირა:

— თვითონ თქვენა ხართ ურწმუნონი! ჩემს თანამემამულეთ შეუძლიათ დაამოწმონ, რომ მე ვარ მართლ-მორწმუნე ქრისტიანი. მაგრამ სიკვდილითაც რომ დამსაჯოთ, მაინც ვერ მათქმევინებთ, რომ სადაც ათასობით დიდ-ჯვაროსანთა ლაშქარი იღუპებოდა, იქ ბავშების გაგზავნა არამც თუ სისულელე, ცოდვაც არ იყოს. ამისათვის საფრანგეთში სისხლის ცრემლები დაიღვრება. სამართლიანათ ცდილობდა მეფე ფილიპ ავგუსტი ხელი აეღებინებინა უმეცარ ბრბოსთვის მის განზრახვაზე. სამართლიანათ იქცევიან ჩვენი სასულიერო პირნიც, რომ არ უგზავნიან თავის ლოცვა-კურთხევას იმ მატყუარებს, რომლებიც აქეზებენ გულ-უბრყვილო ბავშებს. მაგრამ რა გელაპარაკოთ, ამ საქმეში ხალხი-კი არა, თვით ღმერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა იყოს მსაჯული!—დაამთავრა რაიმუნდმა, აიღო ქუდი ხელში და გამოვიდა გარეთ.

—საკვირველია სწორეთ, რომ ღმერთს თვალები აუხვევია ამისთანა პატიოსანი და კარგი კაცისათვის, როგორიც რაიმუნდია!—თვალთმაქცურათ შენიშნა შავგვრემანმა ყბა-გაჭრილმა ვაჭარმა.—დარწმუნებული ვარ, იმასაც რომ ენახა, როგორც მე, ჯვაროსან ყმაწვილების მოძრაობა, მაშინვე გამოიცელიდა აზრს. წარმოიდგინეთ ბრბო რამდენიმე ათასი სიცოცხლით და ჯანით საესე ყმაწვილისა; ყველა მათ უჭირავთ ხელში დროშები, საცეცხლურები, ჯვრები და ანთებული სანთლები, გალობენ ერთ ხმათ ლოცვებს და მწკრივავთ შემორტყმიან ცხენს, რომელზედაც ზის ღვთის მოციქული ყმაწვილი მწყემსი, მათი წინამძღოლი. ყველა ქალაქებში და სოფლებში, სადაც-კი გაიარა ამ ქრისტეს მოციქულმა ჯარმა, ყველა ხელოსანნი და მიწის მშრომელნი სტოვებდენ თავ-თავის საქმეს და მისდევდენ მათ უკან. გასათხოვარი ქალები, ჭაბუკნი და მოხუცნიც სიხარულით უერთდებოდენ მიმავალ ჯარს. „საით მიდიხართ?“ ეკითხებოდენ ისინი ბავშვებს.—„ჩვენ მივდივართ ღმერთთან,—უპასუხებდენ ბავშვები,—მივდივართ ზღვის გაღმა, წმიდა ჯვარის გამოსახსნელათ“. აბა რაღა გიამბოთ,—დააბოლოვა გუგომ:—თქვენ თითონ ნახავთ ამ სურათს, რადგანაც მარსელში ყოველ წუთს მოელიან იმათ; ისინი აქ უნდა ჩასხდენ გემებში და წავიდენ წმიდა ადგილს.

— დაახლოვებით რომ გვიცნობდეთ, ბატონებო,—შენიშნა პორკუსმა,—დარწმუნდებოდით, რომ გულითა ვართ მოწადინებული ამ საქმეს ხელი შეეუწყოთ და არ დავიშურებთ არავითარ მახვერპლს მისი კეთილათ დაბოლოვებისათვის.

ამ დროს მარსელის ქუჩებზე ატყდა საშინელი ჩოჩქოლი. მრავალი ხალხი დარბოდა, ყველა მხრიდან ისმოდა ყვირილი: „მოდიან! მოდიან!“ გუგო და პორკუსმა ერთმანეთს რაღაცა წასჩურჩულეს და საჩქაროთ გამოვიდენ ქუჩაში. ხუთ წუთს შემდეგ მოიჭრა ერთი

ცხენოსანი, გამტეერიანებული და დაღალვისაგან მთლათ გაწითლებული. მას ხელში ეჭირა თეთრი დროშა, რომელზედაც წითელი ჯვარი იყო შეკერილი. ხალხი მჭიდროთ გარშემოერტყა ცხენოსანს. როდესაც მხედარმა ცოტა სული მოიბრუნა, რიხიანი ხმით დაიწყო:

— მარსელის მოქალაქენო! ღმერთი იყვეს თქვენი მწყალობელი! მე ვარ პირველი მახარობელი ახალგაზდა ჯვაროსნების მოახლოვებისა. ხუთი ათასი ბავში, საფრანგეთის საუკეთესო შვილნი, მოდიან ღვთისგან ამორჩეულ მოციქულის მწყემსის სტეფანეს მფარველობის ქვეშ. მარსელის მოქალაქენო! ახალგაზდა ჯვაროსნები გიგზავნიან ამ დროშას სალამის ნიშნათ და იმედი აქვთ, თქვენი სტუმართ-მოყვარეობით ისარგებლებენ, ვიდრე არ გაემგზავრებიან წმიდა ადგილისაკენ.

ეს წინადადება ერთხმათ მიღებულ იქმნა მარსელის მცხოვრებთაგან. მხედარმა დროშა გადასცა ხალხს და მათაც ერთ წუთში პატარ-პატარა ნაჭრებათ დაჰგლიჯეს და დაირიგეს, როგორც წმიდა ნაწილი.

II

ჯვაროსანთა ბანაკი.

ცნობის-მოყვარეთა რიცხვში, რომელნიც გაემართენ პატარა ჯვაროსანთა შესახვედრათ, ერია ჩვენი ნაცნობი ეჭარი რაიმუნდას 14 წლის ვაჟიშვილიც, რომ უკვეთ დაენახა ჯვაროსანნი, ბავში აცოცდა ხეზე და განსაცვიფრებელი სურათი წარმოუდგა თვალ-წინ. ხუთი ათასი ყმაწვილი მწყობრათ მოდიოდა საეკლესიო საგალობელით. წინა რიგებში მოიფრიალებდენ წითელ ჯვრით-ნაკერ, ოქრომკედის ფოჩებიან რამდენიმე დროშას. ჯარის პირველ რიგის ცოტა მოშორებით მოდიოდა თავ-ახდილი ეტლი ძვირფასი ფარდაგებით მორთული. ეტლს იქით-აქეთ მხარეს მოჰყვებოდენ ორმოც-დაათი შეიარაღებული ახალგაზდა მცველები. ეტლის წინ ათ ბავშს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰქონდა ანთებული კელეპტრები, ათი სხვა ბავში განუწყვეტლივ აკმევდენ საკმეველს ვერცხლის საცეცხლურიდან. ეტლში იჯდა ლამაზი, მოხდენილი ყმაწვილი, მეტყველი მკრთალი პირისახით და მოელვარე თვალებით. ეს იყო, როგორც მას უწოდებდენ, ღვთის განგებით მოვლენილი წინამძღოლი ჯვაროსან-ბავშთა ლაშქრისა, მწყემსი სტეფანე. გარეგნობით ის 16 წლისას ჰგვანდა, თუმცა 14 წლისაზე მეტი არ იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სურათმა ძლიერათ იმოქმედა ხეზე-მჯდომ რობერტზე. „ღმერთო ჩემო!“ წარმოსთქვა მან ამოოხერით:—„დიდი თანამდებობა მიგინიჭებია უბრალო მწყემსისთვის! მე აგერ 14 წლისა ვარ, მაგრამ აქამდის არა გამიკეთებია-რა შენი სახელის სადიდებლათ!“

სტეფანე სულ უბრალოთ იყო ჩაცმული. იგი იმითი განირჩეოდა სხვა ბავშებისაგან, რომ წერილი ოქროს რკალი გადაეცვა ხუჭუჭა წაბლისფერ თმაზე და ნაცრისფერ, მოკლე, სამგზავრო წამოსასხამზე ჯვარი ჰქონდა ოქრომკედით ნაკერი. ხელში ეკავა ხის ჯვარი დროშით. სუფთა და მკაფიო ხმით გალობდა დასაწყისს ყველა ლოცვისას, რომლის უკანასკნელ სიტყვებსაც განაგრძნობდენ ერთათ სხვა ბავშები.

უმრავლესობას ჯვაროსან ბავშებისას მხიარულობა ეტყობოდა. იმათ ჯერ არ გამოეცადნათ სიძნელე შორს მგზავრობისა და ამიტომ ხალისიანათ, გამბედავათ იყვენ. ყველა მათგანს წამოესხა მხარზე მოკლე ნაცრისფერი წამოსასხამი წითელი ჯვრით ნაკერი. ხელში ეჭირათ სამგზავრო ჯოხები და პარკები. გარდა იმ მდიდარ და ღარიბ ბავშებისა, რომელნიც შეიკრიბენ საფრანგეთის ყველა კუთხიდან, ჯვაროსანთა ლაშქარს შეერთებოდა არა მცირედი რიცხვი დიდებისაც, ახალგაზდებისა და მოხუცებისა, რომლებიც ღრმათ დარწმუნებული იყვენ ღვთისგან გამორჩეულ ჭაბუკის სასწაულთ მომქმედ ძალაში.

როდესაც ჯვაროსნები მიუახლოვდენ ხეს, რომელზედაც რობერტი იჯდა, მან ცხადათ გაარჩია ბავშების ბრბოში თავისი სიყრმის ამხანაგი, გენრიხი, ავინიონელი მდიდარი ვაჭრის შვილი, რომელთანაც რამდენსამე წელიწადს სწავლობდა ერთ სკოლაში. რობერტისა და გენრიხის მშობლები ყოველ წლივ დაიარებოდენ ერთმანეთში და კარგი მეგობრები იყვენ.

რობერტმა რომ გენრიხი დაინახა უცებ შეჰყვირა: „გენრიხ!“

ნაცნობი ხმის გაგონებაზე, გენრიხმა თავი მაღლა აიღო და ბავშებმა ერთმანეთს შეხედეს; მაგრამ წესიერების დარღვევა არ შეიძ-

ლებოდა: გენრიხმა გაუნძრეველათ განაგრძო წინ-სვლა. რობერტი-კი სწრაფლათ დაეშვა ძირს, გაძვრა ბრბოში და ცდილობდა თავისი საყვარელი მეგობარი თვალიდან არ მოეშორებინა.

ქალაქ მარსელში განსაკუთრებით იმ ხანებში ხუთი ათასი ადამიანი ვერ მოთავსდებოდა, ამიტომ მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს ესარგებლნათ მარიამობისთვის თბილი დღით და გაემარათ ბანაკი ახალგაზდა ჯვაროსნებისთვის უშველებელ მოედანზე, ქალაქ გარეთ.

ამ მოედანს ყოველი მხრით მიაწყდა ხალხი, რომელსაც მოჰქონდა ყმაწვილებისთვის ტანისამოსი, საცვლები, ფული და აუარებელი სანოვაგე. ყველამ იცოდა, რომ ახალგაზდა ჯვაროსნები წმიდა ადგილას ხელ-ცარიელნი მიდიოდენ. ღვთის მოყვარე ქალებს მრავლათ მოჰქონდათ ოქროს და ვერცხლის ფული და ეეედრებოდენ ბავშებს ელოცათ მათთვის, დაბრუნებისას-კი მოეტანათ თითო ტოტი, ან არა და ფოთოლი მაინც; იმ ნაკურთხ ქვეყნის ხეებისა, სადაც სცხოვრობდა და იტანჯებოდა მაცხოვარი.

ლამაზი, დაფიქრებული მწყემსი სტეფანე, მიმჩნეული ჯვაროსანთა შორის წმინდანათ, ყველას აკვირვებდა და უღვიძებდა ცნობისმოყვარეობას. მარტო მის ტანისამოსზე შეხებაც-კი ბედნიერებათ მიაჩნდათ მარსელში მცხოვრებ ღვთის მოყვარე ხალხს. ძვირფას ფარდაგებით, რომლებიც ამშვენებდენ მის საჯდომ ეტლს, გაუმართეს მოსასვენებელი კარავი. მცველებათ მიუჩინეს 50 შეიარაღებული ყმაწვილი.

ჯერ ქალაქის დეპუტატები არც-კი მოსულიყვენ თაყვანის-საცემლათ და საჩუქრების მოსართმევათ, რომ ჯვაროსნების წინამძღოლთან უკვე გაჩნდენ ორი ამხანაგი, სიცილიელი ვაჭრები. იმათ ქუდმოხდილებმა დაიჩოქეს, პატივისცემით მისცეს სალამი სტეფანეს და სთხოვეს მიეღო მათგან უმცირესი შეწირულება.

— აქაურ ნავთსადგურში რამდენიმე ჩვენი გემია გაჩერებული. ნება მოგვეცი ღვთისგან ამორჩეულო, რომ ამ გემებით მუქთათ მიგიყვანოთ შენი ლაშქრით იერუსალიმამდის. ჩვენ რამდენიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის განმავლობაში დავამზადებთ ყველაფერს, რაც საჭიროა სამგზავროთ, იმ დრომდის-კი, უეჭველია, ქალაქი იკისრებს თქვენ მშვიდობიანათ შენახვასო.

გულ-ხელ დაკრეფილმა სტეფანემ რწმენით აიხედა ზეცისაკენ და ხმა-მაღლა წარმოსთქვა:

— უფალო, უხვი არს მოწყალება შენი ჩვენთვის! — შემდეგ მან უბრძანა ეაჭრებს წამომდგარიყვენ ზეზე, — ასეთი თაყვანის ცემის ღირსი მხოლოთ ღმერთიაო. — მიუგო თავაზიანი კილოთი სტეფანემ.

— თქვენს მსხვერპლს, პატივცემულო ხალხო, მივილებთ იმ წმიდა საქმის სახელისათვის, რომლისათვისაც ჩვენ მივილტვით. ჩვენი მშვიდობიანობისთვის-კი გთხოვთ ნურას იზრუნებთ. დამშვიდებულნი ვიქნებით მხოლოთ მაშინ, როდესაც მივაღწევთ ჩვენ წმინდა მიზანს.

ეაჭრები — გუგო და პორკუსი, გამოეთხოვენ და გამოვიდენ კარავიდან. როდესაც ისინი მიუახლოვდენ ქალაქს, ეკლესიებში საღამოს ლოცვებს რეკავდენ. ჯვაროსნების ბანაკიდან გაისმა მწყობრი გალობა. ეაჭრებმა მოიხედეს და შემდეგი სურათი დაინახეს:

ხუთი ათასი ბავშვი ყველა ერთათ დაჩოქილი გალობდა ღვთისმშობლის საგალობელს. ოქროსფერი სხივები ჩამავალი მზისა, რალაც არა ამ ქვეყნიურ სანახაობას, აძლევდენ მთელ ამ სურათს.

III

მეგობრების შესვედრა.

როგორც-კი ბანაკი გამართეს ჯვაროსან ბავშვებისათვის — ყველას ნება მისცეს მშობლების და ნაცნობების ნახვისა; გენრიხი იმ წამსვე გაიქცა რობერტის მოსაძებნათ. რობერტიც მოუთმენლათ ელოდა ერთ კარავის წინ. ბავშვები ტირილით გადაეხვიენ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ შენ მართლა მიდიხარ წმიდა ადგილს?—ჰკითხა აღელვებულმა რობერტმა, თან სიყვარულით ჩააცქერდა ქერა გენრიხის სუსტ და ნაზ სახეს.

გენრიხს ცრემლ-მორეული თვალები გაუბრწყინდა სიხარულით.

— ჰო, რობერტ. ხედავ რამდენი ვართ, ჩვენ ყველანი წმიდა ადგილს მივდივართ. არ შემიძლია აგიხსნა, რა ბედნიერი ვარ იმით, რომ ვიხილავ იმ წმინდა ადგილებს, სადაც ქრისტე ღმერთი დაიბადა, სადაც იგი ქადაგებდა, სადაც წამებით მოკვდა ჩვენ ცოდვილთათვის. არ დაიჯერებ, ისე მიხარია პალესტინაში წასვლა, რომ მეტი არ შეიძლება!.. დავ არაბებმა მაწამონ, მცემონ, დავ გინდ ჯვარზე გამაკრან—მე არაფრისა მეშინია!.:

აღტაცებული ბავშის სიტყვებმა რობერტი გაიტაცა და მხურვალეთ გადაეხვია მეგობარს.

— კეთილი საქმე ამოგირჩევია, გენრიხ,—წარმოსთქვა მან ხმა დაბლა—რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ შენთან ერთათ მეც მებრძოლა ქრისტესათვის. როდესაც ხეზე ვიჯექი და თქვენი მოსვლის მოლოდინში ვიყავი, დავინახე თუ არა სტეფანეს მშვენიერი სახე, არ ვიცი რა დამემართა, თითქოს ცეცხლმა დამწვა, თითქოს გამოვიცვალე, მას შემდეგ ჩემს თავს ვეღარა ვცნობ...

— ეგ ზეშთაგონებით არის, ეგ იმას ნიშნავს, რომ შენც თან უნდა გამოგვყვე.—უპასუხა გენრიხმა.

— მერე როგორ დავტოვო ჩემი მშობლები?

გენრიხი უცბათ მიუბრუნდა და ხმა-მაღლა დაიწყო ტირილი. „დედა, დედაო!“ მწარეთ იმეორებდა ის.

რობერტმა კარგა ხანს ხმა არ გასცა რომ გენრიხი დამშვიდებულიყო; მერე როდესაც შეატყო რომ აღელვებამ გაუარა, განაგრძო:

— მე წამოგყვებით თან. ვერ მოვითმენ, რომ მარსელში ვიჯდე და თქვენს გამარჯვებას აქედან ვუყურო.—ვერ გავძლებ... თეთრი დროშები გაფრიალდებიან... გუნდი იმღერებს საგალობელს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ ცხენზე მჯდომარე სტეფანე, მახვილით ხელში, წინ გაგიძღვებათ... არაბები გარბიან... თქვენ შედიხართ იერუსალიმში... ხალხი წინ გეგებებათ, როგორც გამარჯვებულთ, ბზის ტოტებით... თქვენ დაიბრყობთ წმინდა ადგილს და მილიონობით ხალხი დაგლოცავთ. ოჰ, გენრიხ, ძმაო! ნუ თუ მე ვერ მოვესწრები ამ ბედნიერებას, არ ვიქნები მონაწილე თქვენი დიდებისა? მითხარი, მეგობარო, როგორ მოვიქცე?

— სტეფანე რომ აქ ყოფილიყო,—მიუგო გენრიხმა,—ის ახლავე გადასწყვეტდა მაგ საქმეს. მე-კი მგონია, რომ თუ შენ ზეშთაგონებით გაქვს ეგ აზრი, უნდა დასტოვო დედ-მამაც, ოჯახიც და წამოგვყვე.

— ორი დღის ვადა მომეცი,—თხოვა რობერტმა.—მე მინდა გავიგო, როგორი თვალით უყურებს ამ საქმეს მამაჩემი. თქვენ როდისთვის აპირობთ გამგზავრებას?

— ჯერ არაფერი არ ვიცით. როდის წავალთ, ან რომელ გემებზე მოგვათავსებენ, ყველა ეს ღვთის ნებაა. თვით უფალი დაგვინიშნავს დღეს და საათს გამგზავრებისას.

— სანამ აქა ხართ, მაშ არ გვესტუმრები?

— არაფრის გულისათვის არ მოვშორდები ჩემ შეიარაღებულ ძმებს. ამასთანავე მე არ ვიცი, როგორ უცქერის მამაშენი ჩვენ კეთილ განზრახვას. მრავალ კეთილ-მორწმუნეთაგანს ჩვენი მოძრაობა ყმაწვილურ შეცდომათ მიაჩნიათ და სამდურავს აცხადებენ, რომ მეფემ არ შეგვიშალა ხელი საფრანგეთიდან გასვლაში. ჩემ წამოსვლას, უკეთესი იქნება საყვარელო რობერტ, შენ თითონ გადმოხვიდე ჩვენთან; დავიხოცოთ ერთათ ჯვარცმულ მაცხოვრისათვის...

რობერტმა მაგრათ მიიკრა გულზე მეგობარი და ცრემლ-მორეულის თვალებით წამოიძახა:

— მელოდე, ძმაო, მეც მოვალ უეჭველათ! ახლა-კი ჩვენ ვეღარაფერი ვერ გაგვაშორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV

დღესასწაული ჯვაროსანთა პატივსაცემლათ.

რობერტი დაბრუნდა თუ არა სახლში, მაშინვე გადასწყვიტა გამოეთხოვნა მამისაგან ნებართვა ჯვაროსნების ლაშქარში შესვლისა. მაგრამ დაინახა, რომ მამა ცუდ გუნებაზე იყო და ველარ გაბედა თავის განზრახვის გამჟღავნება. გაჩუმება ამჯობინა დრომდის. იმ საღამოსვე მოუვიდათ სტუმრათ მამის მეგობარი, ერთი მდიდარი ვაჭარი, რომელმაც ბევრი ახალი ამბავი მოუტანათ. სხვათა შორის სტუმარმა ისიც უთხრა მოხუც რაიმუნდს, რომ ორი სიცილიელი ვაჭარი კისრულობს ჯვაროსანთა მუქთათ გადაყვანას თავისი გემებით პალესტინაშიო.

— ესლა აკლდა!—წამოიძახა მოხუცმა რაიმუნდმა.—ათასობით ბავშები გარბიან თავ-თავის დედ-მამის სახლიდან, სტოვებენ მამებს, დედებს, ოჯახებს და აქ მოულოდნელათ ჩნდებიან ისეთი უკეთურნიც, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ბავშურ გატაცებას! აბა, რომელი გონიერი კაცი დაიჯერებს, რომ ხუთი ათასი-კი არა, გინდ ასი ათასი ბავშისგან შემდგარმა ჯარმა შეიძლოს არაბების განდევნა იერუსალიმიდან!..

მამის ასეთმა სიტყვებმა გული მოსწყვიტეს რობერტს. მას მოეჩვენა, რომ მამა მის მტკიცეთ არა სწამდა ქრისტეს მცნება.

— არ მესმის ასეთი საზოგადო დაბრმავება,—განაგრძო რაიმუნდმა.—როგორ შეიძლება მათი დახმარება იმისთანა საქმეში, რომლისათვისაც მათ მოუკიდნიათ ხელი მხოლოთ ბავშური გაუგებრობით, სულელური მედიდურობის ზეგავლენით. „მიეშველეთ იერუსალიმის გამოსახსნელათ არაბების მონობისაგან!“ მითხარით, გეთაყვა, ნუთუ არ იპოვება ისეთი კაცი, რომელმაც აუხსნას საცოდავ ბავშებს, რომ თვით უფალი მაცხოვარი ირჩევდა თავის მოციქულებს ბავშებიდან-კი არა, მოზდილ ხალხისაგან.

— ნუ დაგავიწყდება, ძმაო,—შენიშნა მას მეკობარმა,—რომ ამ ჯვაროსანთა გალაშქრებაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო აქაური ბავშები, არამედ მთელი ბურგუნდიის და გერმანიისაც. ამბობენ, რომ ისინი კიდეც გამგზავრებულან გენუისაკენ.

— რა გასაკვირველია, გადამდები სენია ასეთი მაგალითი; ყველა უჭკუოს უთუოდ თავისი მომხრე ეყოლება, მეცოდებიან ის უბედური ბავშები; მწარე ხვედრი მოელით საცოდავებს!..

ღვთის მოყვარე რობერტის დედა ყურს უგდებდა ქმრის ლაპარაკს. ორნაირი გრძნობა უტრიალებდა გულში. მას არ შეეძლო არ დათანხმებოდა ქმრის გონიერ მსჯელობას, მაგრამ ამავე დროს აღტაცებული იყო ბავშების მართლ-მორწმუნეობით და ვერ გაეგო, თუ რათ უწოდებდენ სისულელეს ამისთანა საქმეს.

რობერტმა მთლათ დაჰკარგა იმედი. ის გრძნობდა, რომ მამას ძალიან გაარისხებდა, თუ თავის საიდუმლო განზრახვას განუცხადებდა. დაწოლის დროს, ბავში ცრემლიანი თვალებით ეეედრებოდა ღმერთს, რომ მამა მისი დაემშვიდებინა, თვით მისთვის-კი მიეცა ძალ-ღონე მომავალ მგზავრობისათვის. მთელი ღამე მას იერუსალიმი ესიზმრებოდა და ესმოდა გამარჯვებული ყვირილი ჯვაროსან ამხანაგთა. თავის თავსაც გამარჯვებულთა შორის ხედავდა. მაგრამ დილით ტკბილი ოცნებანი გაქრენ და თვალ-წინ ისევ სინამდვილე დაუდგა: დედის სიბრალული და მამის შიში, და კიდევ ვერაფერი გაუბედა მამას.

ამ დღეს, მარსელის მცხოვრებლები გაბედნიერდენ ყმაწვილ ჯვაროსანთა ლაშქრისა და მათი წინამძღოლის პირისპირ ნახვით. სიცილიელმა ვაჭრებმა გუგომ და პორკუსმა საჯარო სადილი გაუმართეს ჯვაროსან ბავშებს თავისი გემების ბაქანზე; ამ სადილზე იყვენ მიპატიჟებულნი მარსელის ყველა გამოჩენილნი პირნი. დიდძალი ხალხი აცილებდა ყმაწვილ მეომართ, როდესაც ისინი მიდიოდენ გემებისაკენ. ქალები გზას ყვავილებით უფენდენ, კაცები-კი მისძახოდენ აღტაცებით: „გაუმარჯოთ ქრისტიანობისთვის თავგამოდებულთ, გაუმარჯოთ ქრისტეს საფლავის დამცველთ!“ დიდი ქება შეასხეს აგრეთვე გუგოს და პორკუსსაც. ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა მთელ ქალაქში, რომ მათ იკისრეს უფასოთ ბავშების გადაყვანა. მოწყალე ვაჭრებს ყველა ქება-დიდებით იხსენიებდა. ყმაწვილები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ვერ ახერხებდენ გაყოლას, შურით შესცქეროდენ ტოლებს და ტირილი მოსდიოდათ, რომ შინ რჩებოდენ. ოჰ, რომ სცოდნოდათ მათ, რამდენი მწარე, უნუგეშო ცრემლი დაიღვრებოდა ქალაქ მარსელში და მის მიდამოებში ამ ჯვაროსნული გალაშქრების მიზეზით!..

რობერტს არ შეეძლო გულ-გრილათ ცქერა ყმაწვილ ჯვაროსანთა პატივსაცემლათ გამართულ დღესასწაულისათვის. დიდ მნიშვნელობას აძლევდა თავისი ჭკუით რობერტი ამ შემთხვევას, მამასთან ხმის ამოღებას-კი ვერ ბედავდა ჯვაროსნებზე. რაიმუნდი მთელ იმ დღეებში საშინელ ცუდ გუნებაზე იყო, რაიც მას ყოველთვის ემართებოდა, როდესაც ხედავდა ხალხის უგუნურ საქციელს. სამაგიეროთ დედასთან ძალიან გულახდით იყო ბავში და გატაცებით უამბობდა მას, თუ როგორ თანაუგრძნობდა მუსულმანების ხელიდან უფლის საფლავის განთავისუფლების იდეას.

— უფალო, დაიფარე და შეიბრალე ეს პატარა გმირი ბავშვები! ამბობდა ცრემლ-მორეული რობერტის დედა.—მე არ შემიძლია ვთქვა, რომ მათი განზრახვა გონიერული იყოს, მაგრამ უფრო საგრძნობელია, როდესაც წარმოვიდგენ, თუ როგორი გულშესაზარი სანახავი იქნება ხუთი ათასი ბავშისგან დატოვებული მშობლები.

ამ სიტყვებს შემდეგაც-კი რობერტმა ვერ გაბედა გამოსტეხოდა დედას, რომ თითონაც გულში გადაწყვეტილი ჰქონდა ჯვაროსნების ლაშქარში ჩარევა.

როდესაც მან მეორეთ ინახულა გენრიხი, ჯვაროსნების გამგზავრების დღე უკვე დანიშნული იყო. სიცილიელმა ვაჭრებმა არაჩვეულებრივი სისწრაფით დაამზადეს რაც საჭირო იყო მგზავრობისათვის.

თოთხმეტი წლის გენრიხი ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა მომავალ მგზავრობაზე, ამ მგზავრობას ისეთი ნათელი ფერადებით ხატავდა, რომ რობერტი სრულებით მიიბირა. „მეც მოვდივარ შენთან ერთათ!“ უთხრა ამხანაგმა გენრიხს. ორივ მეგობარმა სწრაფლ დაიჩოქეს და შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირათ ქრისტიანობის დაცვისათვის.

(შემდეგი იქნება)

ნინო ენუქიძე.

სპილენძის საათი.

I

ზაზე, რომელიც პარიზის ახლო მდებარე დიდ სოფლისკენ, პონტ-ანდრესკენ, მიიმართებოდა, ერთი მგზავრი ჩქარი ნაბიჯით მიეშურებოდა. ოც-და-ხუთი წლის ძლიერს იქნებოდა; ძალიან ღარიბათ ეცვა და მთელი თავისი ავლადიდება ორიეე მხრიდან გამონასკეულ პირსახოცში გახვეული მოჰქონდა. ის ისეთი წარმოსადეგი და ლამაზი ვაჟკაცი იყო, რომ თითო-ოროლა ადამიანი, რომელნიც მას გზაზე ხვდებოდენ, ძალა უნებურათ აქცევდენ მას ყურადღებას და მხიარულათ უღიმოდენ. მგზავრიც, თავისი მხრით, მხიარულათ უკრავდა მათ თავს და ამასთან ხელს იკიდებდა ქუდზე, რომელზედაც სამფეროვანი ნიშანი ჰქონდა დაკრული. 1791 წელი იდგა. შუადღისას ახალგაზდა კაცმა პონტ-ანდრეში მიაღწია. ამ სოფელში ორი დუქანი იყო და ორიეე ბაზრის მოედანზე, სწორეთ ერთმანეთის პირდაპირ. ერთ ამათგანს ყოველთვის ბევრი მუშტარი ჰყავდა, რაც, რასაკვირველია, მშვენიერ მოგებას აძლევდა მის პატრონს. ამ დუქნის წინა კედელზე ოქროს ვარაყის ასოებით დაწერილი იყო შემდეგი სიტყვები „სასტუმრო დედამიწის ზურგისა“. მეორე დუქანი-კი ძლიერ დაძველებული და როგორღაც გაშავებული იყო დროთა ეითარების გამო; პირველთან შედარებით მასში ნაკლებათ დაიარებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ მუშტრები და ოქროს ასოების მაგივრათ მარტო ერთათ ერთი ხის შტო იყო ჩასობილი მის წინ. „დედამიწის ზურგის სასტუმროს“ პატრონი იყო დიდ მუცლიანი და ხარბი კაცი, სახელათ ბ. ლეონარდია. პატარა დუქანი-კი, ეკუთვნოდა ერთ საწყალ გაუბედავ და თავაზიან ქვრივ დედაკაცს, სახელათ მიტენს. ახალგაზდა მგზავრი გაჩერდა საბაზრო მოედნის შუა-გულში და ხან „დედამიწის ზურგის სასტუმროს“ ოქროს ასოებს მიჩერებოდა, ხან საცოდავ გაყვლეფილ ხის ტოტს, რომელიც პატარა დუქნის წინ ირხეოდა: — „მიურატო, ჭკვიანათ მოიქეცი!—ეუბნებოდა ის უსიტყვოთ თავის თავს. ეს ხის ტოტი გიჩვენებს შენ დუქანს, სადაც შეგიძლია შიმშილი იაფ-ფასათ მოიკლა.—მართალია, ეგ აგრეა, მაგრამ „დედამიწის ზურგის სასტუმრო“ უფრო მიზიდავს!—ალაპარაკდა უსიტყვოთვე ყმაწვილ-კაცში მეორე ხმა.—დაფიქრდი მიურატო, გაიხსენე, რომ შენ ჯიბეში მხოლოთ სამი ლიერი-ლა *) დარჩენილა! თუ დიდ სასტუმროში ისადილებ, მთლათ დაგეხარჯება შენი ფულები, შენი სამი ლიერი!—ეჰ რა მენაღვლება! მაინც იქ შევალ!—მიურატმა ხის ტოტს ზურგი შეაქცია და ბ. ლეონარდის სასტუმროში შეეიდა. სასტუმროს პატრონმა უპატივცემულოთ გაიღრიჭა ახლათ შემოსულ საწყლათ ჩაცმულ მუშტარს რომ შეხედა და მის მაგივრათ, რომ ეკითხა რა მოგართვათო,—სახელი და ვინაობა ჰკითხა.

— ჩემი სახელი ვერაფერს საყურადღებოს ვერ შეგატყობინებსთ, —მიუგო მგზავრმა.—მე მოვდივარ საფრანგეთის განაპირა ქვეყნიდან და მოვდივარ ფეხით, როგორც ხედავთ. დღეს. საღამო ხანს, ჩავალ პარიზში; ხვალ ჯარის-კაცათ გავხდები; მე დამპირდენ ადგილს ქალაქის მეციხოვნეთა ჯარში.

— კიდევ ერთი დავიდარაბის ახირებული მაძიებელი! —წაიდუდუნა სასტუმროს პატრონმა;—ღილიდან საღამომდის მიეშურებიან ეს ყმაწვილი-კაცები და შედიან ჯარის-კაცებათ—თავის სიამოვნებისთვის.

*) საფრანგეთის ლიერი ჩვენს 25 კაპ. შეადგენს.

— და სახელისთვის.

— აი სწორეთ ეგ არის სასაცილო! ძონძებში გახვეულები მიემგზავრებიან და ყოველი მათგანი-კი იმედს არა ჰკარგავს რითიმე უფროსების ყურადღება მიიქციოს და პოლკოვნიკის მუნდირში გამოწყობილი დაბრუნდეს უკან.

— რატომაც არა? მე ჩემი ბედ-ილბლის, ჩემი ვარსკვლავის იმედი მაქვს!

ლეონარდმა მხრები აიწია და სამზარეულოსაკენ გაემართა. ცოტა ხანს შემდეგ ისევ გამოჩნდა; თან მოჰქონდა ერბო-კვერცხი, ლორი და ყველი; ყველა ეს მაგიდის ნაპირზე, სტუმრის წინ, დაალაგა.

— ისე მშია, როგორც დამშეულ მგელს!—წამოიძახა მგზავრმა და ერთ წუთში ერბო-კვერცხი გაჰქრა, ლორისაგანაც აღარაფერი დარჩა, გარდა პატარა, გულმოდგინეთ გაღირღნილ ძელისა. ამას შემდეგ ჯერი ყველზე მიდგა.

— მეტათ კარგი მადის პატრონი ყოფილხართ, ყმაწვილო!— დაცინვით უთხრა მედუქნემ.

— ეჰ! ამოოხვრით მიუგო მიურატმა,—სწორეთ მოგახსენოთ, უფრო მეტიც შემიძლია გიახლოთ ძალ-დაუტანებლივ, მაგრამ დროა წასვლისა; რამდენია დანახარჯი?

— სამი ლივრი და შვიდი სუ. *)

ამგვარ მცირე სადილისთვის განცხადებული ფასი ნამეტანი დიდი იყო: სადილი ორ ლივრათაც არ ღირდა; მგზავრი თან გაჯავრდა, თან აღელვდა და შეწუხდა, რადგანაც სამი ლივრის მეტი არა გააჩნდა-რა. ჯერ უარი განაცხადა ამდენის გადახდაზე, მაგრამ როცა „დედამიწის ზურგის სასტუმროს“ პატრონმა ბ. ლეონარდმა ხმა აიმაღლა და გამოუცხადა, რომ სრულებითაც არ ვაპირობ დაგიკლო რამე სამ ლივრს და შვიდ სუსს, და თუ არ გადიხადე, იძულებული

*) სოფრანგეთის სუ ჩვენს 2 კაპ. შეადგენს.

ეიქნები მსაჯულებს მიემართოო,—მაშინ მგზავრმა, რომელსაც სურდა რაც შეიძლება ჩქარა გაეთავებინა საქმე და გასდგომოდა შარა გზას, —თავი შეიკავა და წყნარათ წარმოსთქვა:

— აი სამი ლიერი; ამ ფულებთან შედარებით რას ნიშნავენ გროშები—შვიდი სუ?

— ნუ თუ მართლა არა გაქვთ შვიდი სუ?

— არა!

— როდესაც იცით, რომ ჯიბეებში ფულები ნაკლებათ გაქვთ, როდი უნდა მისცეთ ნება თქვენ თავს შემოჰბედოთ იმისთანა სასტუმროში, როგორიც ჩემია. იცით, თქვენისთანა ეაჟბატონები სად უნდა მიბრძანდენ? აი, პირდაპირ, იმ ქვრივ დედაკაცთან, რომელსაც სახელათ მიტენი ჰქვია,—და არა ჩემ სასტუმროში! ასე რომ მოქცეულიყავით, არაეითარი უსიამოვნობა არ მოხდებოდა ჩვენ შორის და არც მოხდება, თუ მომცემთ ჩემ შვიდ სუს, რომელნიც ჩემ საკუთრებას შეადგენენ. კიდევ გიმეორებთ, რომ ჩემი შვიდი სუ უსათუოთ უნდა მომცეთ!

— მეც კიდევ გიმეორებთ, რომ არა მაქვს შვიდი სუ.

— მაშ რამე გირაო დამიტოვეთ.

— ბატონი ბრძანდებით.—მიურატმა ჩაიდო ხელი უბის ჯიბეში, გამოიღო იქიდან უბრალო საათი, გაუშვირა ლეონარდს და უთხრა:

— იმედი მაქვს, ეს გირაო დაგაკმაყოფილებსთ.

საათი არც ღირდა შვიდ სუზე მეტს, რადგანაც სპილენძის იყო და ამასთან მარტო დიდი ისარი-ღა დარჩენოდა. მართულიც, ეს უმთავრესი ნაწილი საათისა, რომელიც მას ამუშავებს, დაზიანებული ჰქონდა. მედუქნემ ერთი შეხედვით გადაათვალიერ-გადმოათვალიერა ის და წარმოთქვა:

— თანახმა ვარ მივიღო ეს საათი გირაოთ!—და ამ სიტყვებით საათი ყუთში შეინახა.—როცა ჩემ შვიდ სუს მივიღებ, ამას უკანვე დაგიბრუნებთ.

მიურატმა ამაზე არაფერი არ უპასუხა ლეონარდს; ის ცდილობ-

და რაც შეიძლება მალე მოშორებოდა ამ საძაგელ სახლს და კიდევ უფრო მის უსაძაგლეს პატრონს; გარეთ გამოსელისათანავე მან თეალი მოჰკრა პირდაპირ ქვრივ-დედაკაცის მიტენის დუქნის წინ ხის შტოს, რომელსაც პატარა ქარი ოდნავ არხევდა, მიუახლოვდა მას და შემდეგი სიტყვები უთხრა:

— ეკლიანი ჭყორის შტო! თუ ოდესმე მომიხდა ხელ-ახლა ამ სოფელში გავლა, იცოდე სწორეთ შენთან მოვალ, დაიმახსოვრე ეს, პატარა შტო! — თქვა ეს სიტყვები თუ არა, მგზავრი მაშინვე გზას გაუდგა...

ალ. ბეშკენაძე.

(შემდეგი იქნება)

ტროადის ომი. *)

მსედრობის პირველი უბედური ნაბიჯი.

ელლადის მთელმა მხედრობამ თავი მოიყარა ავლისის ნავთ-სადგურში. მძიმეთ შეთოფიარაღებულნი მეომარნი მოუთმენლათ მოელოდენ ომში გამგზავრებას. მთელი მხედრობა ერთსულათ, ერთგულათ იყო აღფრთოვანებული მტერზედ გასალაშქრებლათ. ჯარის მთავარ-სარდალი აგამემნონი კარგათ გრძნობდა ამ აღფრთოვანების მნიშვნელობას და ამიტომაც საბოლოოდ ჰქონდა გადაწყეტილი მტერზე უთუოდ გაეიმარჯვებო.

*) იხილე „ჯეჯილი“ № IV.

სანამ მეომარნი ხომალდებში ჩასხდებოდენ და შორეულ გზისაკენ გაემართებოდენ, მთავარ-სარდალმა შეკრიბა მთელი მხედრობა, რომლის რაოდენობა ასი ათასს კაცს აღემატებოდა. იქვე ანკარა წყლით მოჩუხჩუხე წყაროს ნაპირას ღმერთებს მსხვერპლი შესწირა და მხედრობისათვის ომში გამარჯვება შესთხოვა.

მსხვერპლის შეწირვის დროს ღმერთებმა საომრად გამზადებულს ჯარს მეტათ საკვირველი სასწაული მოუელინეს. ღმერთების ერთერთს საკურთხეველიდან გამოვიდა მეტათ საშინელი, წითელი ფერის გველეშაპი და წყაროს ნაპირას მდგომ ჭანდრის ხეზე ავიდა. ჭანდრის ხის წვერეალოზე მოჩანდა ჩიტის ბუდე, რომელშიაც იჯდა რვა ბარტყი და მეცხრე თვით დედა ჩიტი. გველეშაპმა ბარტყები და დედა ჩიტი შთანთქა და იმავე წამს ქვათ გადაიქცა.

ელლინთა მხედრობა გააკვირვა ღმერთების ესეთმა სასწაულმოქმედებამ. ყველანი ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა და მოუთმენლათ მოელოდნენ გაეგოთ, რას მოასწავებდა გველეშაპის მიერ ჩიტის ბუდის დაწიოკება და ბარტყების განადგურება.

გულთმისანმა და ყოველათ გამბრძნობილმა კალხასმა ასე განუმარტა მხედრობას ღმერთებისაგან მოვლენილი სასწაულ-მოქმედების მნიშვნელობა: „მეტათ დიდ მნიშვნელოვანი და სანუგეშოა ღმერთების მიერ მოვლენილი სასწაულ-მოქმედება. ჩვენი ომი ტროადელებთან გასტანს ცხრა წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში ეს ომი მრავალ მსხვერპლს და შრომას შეიწირავს ჩვენი მხრით, მაგრამ ბოლოს მაინც და მაინც ჩვენა ვსძლევთ. ელლინთა უძლეველი მხედრობა ერთიანათ შემუსრავს ილიონის მაღალსა და მჭიდროთ აკეზულს კედლებს და მთელს ტროადას სახელოვანათ დაიმორჩილებს“.

გამოუთქმელი სიხარული გამოიწვია კალხასის ესეთმა განმარტებამ მთელს ელლინთა მხედრობაში. ახლა ყველას იმედი ჩაესახა, რომ შეურაცხყოფილი საბერძნეთი სამართლიანათ დასჯის ტროადელებს პარისის თავხედობისათვის.

სიხარულით აღტაცებული მხედრობა ხომალდებისაკენ გაეშურა. მშვენიერი ამინდი იყო. ზღვის ნიავი საამურათ ჰქროდა. მეომრებმა იალქნები მოიმარჯვეს და ხომალდები წყობრათ შეაცურეს ზღვის თვალ-უწვდენელ სივრცეში.

დიდი ხნის მოგზაურობის შემდეგ ელლინთა მხედრობა მიადგა მიზიის ნაპირებს, მეფე ტელეფის სამფლობელოს. ტელეფი შთამომაველობით არკადიელი იყო, ცნობილი ელლინთა გმირის ჰერაკლეს შვილი. მიზიის ნაპირებზე მდებარე ადგილები ბერძენთა მხედრობამ ტროადის სამეფოთ მიიღო და ამიტომ დაუყონებლივ სასტიკი ომი ასტეხა.

მეფე ტელეფისათვის ეს ომი სრულიად მოულოდნელი იყო. მიუხედავათ ამისა ტელეფმა მოაგროვა დიდძალი მხედრობა და მედგრათ შეებრძოლა ელლინთა მეომრებს. გაიმართა სასტიკი ომი ორთავე მოწინააღმდეგე ბანაკში. ტელეფის მხედრობა თავ-დავიწყებით იერიშით მიდიოდა აქეველებზე. სასტიკ ბრძოლის დროს ტელეფმა სასიკვდილოთ განგმირა მთელს საბერძნეთში სახელ-განთქმული და მამაცი ფრეზანდრი. სასახელო გმირის სიკვდილმა შიშის ზარი დასცა ელლინთა მხედრობას. საბერძნეთის ლაშქართა მამათ-მთავარი აგამემნონი უკუქცეულ იქმნა ურიცხვი მხედრობით. აქეველების გმირთა გმირმა აქილმა ვერ მოითმინა ესეთი შეურახყოფა და ხელის-ხელ შეებრძოლა თვით ტელეფს. აქილს დახმარება აღმოუჩინეს პატროკლმა, პროტეზილაოსმა და სხვა ელლინთა გმირებმა. ტელეფიც უმწეოდ არ დარჩა. მრავალი სამშობლოსათვის თავ-დადებული გმირი ტელეფს გვერდით ამოდგომოდა და თავ განწირულათ ომობდა. მიზიელებმა ხელ-მეორეთ უკუაქციეს ელლინთა მამაცი მხედრობა. აქილი მაინც არ შეუშინდა ამ საშიშ მდგომარეობას და თავის ერთგული მეგობრის პატსოკლის დახმარებით ომს განაგრძობდა. საღამოს ჟამმა დაჰკრა. ბრძოლის ველი ჯერ კიდევ საოცარ სურათს წარმოადგენდა ორივე მებრძოლ მხარეთათვის. აქილმა და პატროკლმა დაღლილი და დაქანცული ტელეფი მიიმწყვდიეს მეტათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხერხულ ადგილას და მშვილდ-ისარით მძიმეთ დასჭრეს. ღამის წყვდიადმა ბოლო მოუღო სამკვიდრო-სასიცოცხლო ომს. ორივე მებრძოლი მხარე დილის განთიადს მოუთმენლათ მოელოდენ, რომ უფრო მეტი თავ-დავიწყებით კვლავ განეგრძოთ ომი. მაგრამ, დახეთ ელლინთა მხედრობის მწუხარებას, როცა დილა ადრიან შემთხვევით გაიგეს, რომ ამოდენი სისხლი სულ ტყუილა-უბრალოთ დაღვარეს. აქეველებს ეგონათ, რომ იგინი ტროადელებს ეომებოდენ, ნამდვილათ-კი თურმე თავიანთ მოკავშირე, თანამოძმე მეფის მხედრობას ანადგურებდენ.

რაკი აგამემნონი დარწმუნდა, რომ სულ შეცდომით დაიღვარა მოძმეთა სისხლი, დაუყონებლივ ზავი ჩამოაგდო ტელეფთან და ამასთანავე დახმარებაც სთხოვა ტროადელების საწინააღმდეგოთ გასალაშქრებლათ.

ტელეფმა დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა ელლინთა მხედრობას, ხოლო ომში მონაწილების მიღებაზე უარი განაცხადა, რადგან ტროადის მეფე პრიამი სიმამრათ მოხვდებოდა ტელეფს.

ელლინთა მხედრობა გამოეთხოვა მეფე ტელეფს და ტროადის მხარესაკენ შეაცურა იალქნებ-აფრიალებული ხომალდები. რამდენიმე ხნის მგზავრობის შემდეგ ზღვაზე ამოვარდა მძლავრი ქარი, რომელმაც მეტათ საშიშ მდგომარეობაში ჩააგდო ელლინთა მხედრობის ხომალდები. აზვირთებული ზღვა ერთი მეორეზე ახლიდა ხომალდებს და გზის გაგრძობას ყოველათ შეუძლებლათ ხდიდა. აგამემნონის განკარგულებით მთელი მხედრობა ისევ აულიდის ნავთ-სადგურში დაბრუნდა დაზიანებული ხომალდების შესაკეთებლათ და შემდეგ ისევ საომრათ გასამგზავრებლათ.

ს. უუმისთაველი.

რუსის დესპანობა მე-XVII საუკუნეში

(დასასრული *)

VIII

ეიმურაზ მეფემ თავისი შვილი დავით და კახეთის დიდებულნი რომ ვერას გზით ვერ დაიყოლია და რუსთ ხელმწიფის ყმობისათვის ვერ დააფიცა, გადასწყვიტა დრომდის მოეცადნა: ეგების ამასობაში ან რუსის დესპანები მოლბებიან და მარტო მეფის ფიცს დასჯერდებიან, ან ბატონიშვილი და დიდებულნი გუნებას გამოიცვლიანო.

სანამ-კი მეფეს უნდოდა დრო მოეგო და დესპანები მოეტყუებინა. ჯერ მოიმიზეზა, მინდა ოსმალოს საქმეები შეეიტყოო. მერე რევაზ-ბეი სალთხუცესის პირით აცნობა, მეფე ჯარს აგროვებს და ტფილისის ხანთან **) ერთად ოსმალოზედ გაილაშქრებსო. მერე რამაზან-ბეი ბოქაულთუხუცესმა უთხრა, ბატონი სალოცავად მიბძანდებაო. ბოლოს, დესპანები გაისტუმრეს გრემს, მეფეც იქ მიბძანდებაო.

---

*) ისიდე „ჯეჯილი“ № VI.

**) ასე ეძახის კახთ ბატონი ქართლის მეფეს როსტომს, თავის თავს-კი — საქართველოს მეფეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახთ ბატონი-კი არც ოსმალეთს გალაშქრებულა და არც საალოცავად სადმე წასულა, არამედ ჯარი შეეკრიბა და უნდოდა ზაალ ერისთავს დასცემოდა და არაგვის ხეობა ბაზალეთითურთ წაერთმია. მაგრამ შეუტყო ერისთავმა და ჯარით დაუხვედა. კახთ ბატონი რომ ვერას გახდა ისევ შეურიგდა ერისთავს.

ამასობაში ზამთარმაც მოაწია. თეიმურაზ მეფე საზამთროდ მარტყოფში დარჩა. თუმცა დრო იყო ფიცის თაობაზედ რუსის დესპანებს მოლაპარაკებოდა, ესენიც მოციქულებს უგზავნიდნენ და სთხოვდნენ საქმე გავათავოთო, მაგრამ მეფე გადაჭრილ პასუხს მაინც არ იძლეოდა და ამავე დროს დესპანების დაბრუნებისათვის ზრუნავდა.

დესპანების მგზავრობის გასაადვილებლად, მეფემ ირჩია მიუვალსა და მტრის ხელში ჩავარდნილს კავკასიონის ქედს მორიდებოდა და რუსები შამახიის და დერბენდის გზით გაესტუმრებინა, კასპიის ზღვის პირ-პირ რუსის თერლა-ციხამდე. რადგან შამახია და კასპიის ზღვის პირი ყაენის სამფლობელო იყო, მეფემ აახლა შაჰსეფის თავისი ელჩი და სთხოვა იქაურ ხანებისა და დაღესტნის შამხალისათვის ებძანებინა, რომ რუსის დესპანებისათვის დაუბრკოლებელი გზა მიეცათ.

იმ დროს ვერც ერთი მოციქულობა უსაჩუქროდ ვერ გარიგდებოდა, და კახთ ბატონმაც, — უკეთესი რომ არა ჰქონდა-რა, — გაატანა თავის ელჩს ყაენისათვის ძღვნად რუსთ ხელმწიფის ნაბოძები ქორ-შევარდენი.

ცუდ ყოფაში ჩავარდნენ რუსის დესპანები, დავიწყებულნი და მიგდებულნი გრემს. მეფე მარტყოფს იყო, მისი სახლობა შუამთას წავიდა, რუსები-კი დარჩნენ უმწეოდ და უსურსათოდ. ისე ლეკები არ აშინებდნენ, როგორც სუფრის სიხმელე აწუხებდა ბლომა და მძიმე საჭმელს დაჩვეულს რუსებს. რაც კახეთს ხანი დაჰყვეს, დესპანები სულ უჭმელობას სჩიოდნენ.

საკვირველიც არ იყო სარჩოს უპოვარობა მაშინდელს აკლებულს და გაევრანებულ კახეთში. დიდ ხანს არ გაეელო, რაც ყაენ-

მა შეიწყნარა და დაიმოყვრა თეიმურაზ მეფე. ამ „ბედნიერ ხელმწიფის“ შენდობამ ცოტაოდენ დაუდო ხალხს გული და, მემატიანეს თქმით, „იწყეს უმეტეს აწ შენობად და მოსახლობად კახთა, რამეთუ ჩამოვიდოდნენ ხიზანნი და დაეშენებოდნენ“. თუ ამ ახლად დაშენებულ ხიზნებში ძნელად იშოვებოდა სანოვაგე, ბაზარში სულაც უპოვარი იქნებოდა. მაშინდელი ვაჭრობა მხოლოდ ის იყო, რომ ქალაქიდან სომხის ვაჭრები ჩამოვიდოდნენ და მდარე საქონელს ასაღებდნენ.

ამ ხმელიერებაში რუსის დესპანებს ისლა ჰქონდათ ნუგეშად, რომ ათასში ერთხელ მიაწვდიდნენ ოციოდე ზურგიელს, მარილს ან სხვა ამისთანა სანუკვარს.

ასე გავიდა ექვსი თვე და ვერც ფიცის საქმე გადასწყდა, ვერც საეკლესიო წესების შეცვლისა. საეკლესიო საქმეებზედ ლაპარაკს ჩვენი მღვდელ-მთავრები განზრახ ერიდებოდნენ და, თუ რუსის მღვდლები სიტყვას ჩამოუგდებდნენ, პასუხად მუდამ ის ჰქონდათ, რომ „სანამ ბატონი არ ჩამობძანდება, ვერას გეტყვითო“.

IX

ძლიეს აპრილის დამდეგს (1639 წ.) თეიმურაზ მეფე, ხორეშან დედოფლითა და დავით ბატონიშვილით, მოვიდა გრემს.

თეიმურაზ მეფეს, გარდა ბატონიშვილისა, ახლდა რევაზ-ბეი სალთხუცესი, ნოდარ მოურავი, ნიკიფორე მიტროპოლიტი, კელავ დიდი ამალა თავად-აზნაურებისა და ცხენოსანი რაზმი. მერე მობძანდებოდა დედოფალი, ბატონის რძლითა, თავად-აზნაურების ცოლებითა და თავისის რაზმით, ბოლოს ურმები ბარგით. ქალი და კაცი —ყველანი ცხენით მოდიოდნენ.

კახთ ბატონს მიუძღოდა ჯვარის მტვირთველი. რომელსაც ხელთ ეპყრა ოქროს ჯვარი, მოკლე ტარზედ აგებული. ჯვარი ნახევარ ადლისა იყო, ცალ მხარეს ჯვარცმა ჰქონდა გამოსახული, მეორეზედ—

წარწერა და საფეხურზედ—ეკლესია, მაცხოვრისა და ღვთის-მშობლის ხატებით. ამ ჯვარს წაიძღოლებდნენ ხოლმე ჩვენი მეფეები ლაშქრობასა და მგზავრობაში, მავნის ასაცილებლად და მტრის დასათრგუნავად.

კახთ ბატონი მთავარ-ანგელოზის მონასტერში უნდა ჩამომხტარიყო გრემის ახლო, საცა რუსის დესპანებიც იდგნენ. ბატონის მოგბძანებისას დესპანების ამალა,—და არა თვით დესპანები,—გამოვიდა გალავანის გარეთ, მიეგება და წაუძღვა ჭიშ-კარამდე.

მეფემ ამ ამალის წინ ბოდიში მოიხადა დაგვიანებისათვის. „რა ექნაო,—სჩიოდა კახთ ბატონი,—ჩემმა მტრებმა ერთ ალაგას არ მომასვენეს. ტფილისის ხანსა და არაგვის ერისთავს ვეომებოდი და ამიტომ დამიგვიანდაო. ახლა-კი ამ სამიოდე დღეში ჩავალთ ზეგანს, იქ შეეასრულებ ხელმწიფის ბძანებას და თქვენც გაგისტუმრებთო“.—მეფემ იმისთვისაც მოიხადა ბოდიში, რომ რუსებს შესაფერი ულუფა არ ეძლეოდა, მიზეზი, რასაკვირველია, ისევ ქვეყნის აოხრება იყო.

რამდენისამე დღის შემდეგ მეფე სახლობით წავიდა ზეგანს. რუსის დესპანებიც იქით წაასხეს. ზეგანს კახთ ბატონი, თავის სახლობითა და ამალით, ალაჩუხებში გაეწყო. დესპანებს-კი სადგომად ცარიელი ქარვასლა მისცეს, მაგრამ ისეთი დანგრეული გამოდგა, რომ რუსებმა ისევ კარვებში დგომა არჩიეს.

ენების კვირა იყო. დიდ შაბათს, 13 აპრილს, თეიმურაზ მეფემ გაუგზავნა დესპანებს ცხენები და მიიწვია აღდგომის ცისკარზედ.

დესპანები რომ მოვიდნენ, მეფე თავის სახლობით და ხალხი ეკლესიაში დახვდნენ. ყველას ჩვეულებრივ ქუდი ეხურა. მწირველი ალავერდელი ბძანდებოდა კრებულით. ზებედემ გაუყო სანთლები მეფეს, ბატონიშვილს, დესპანებს და დიდებულებს. მერე მთავარ-ეპისკოპოსი და სამღვდელოება სახარებით, ჯვარით, ხატებით გაემართა ეკლესიიდან დასავლეთის კარით. მათ გაჰყვნენ მეფე და დიდებულნი.

კარიბჭეში დესპანებმა ნახეს ხორეშან დედოფალი, ბატონის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რძალი ელენე და დიდებულთა ცოლნი. დესპანებმა თავი დაუკრეს დედოფალს, რომელმაც მოიხმო იოსებ არქიმანდრიტი, მიიღო მისგან კურთხევა და ხელზედ ემთხვია.

ხორეშან დედოფალი შუა ტანის დედაკაცი იყო, ორმოცის წლისა, შავ-თვალა და შავ-თმიანი, პირ-თეთრი და პირ-მსუქანი. ტანთ ემოსა ტყავი, ალუბლის ფერის და ხალასა ნაკერის საპირით გადაკრული და სიასამურით დაბეწვილი, ქვეიდან—ახალუხი დარაია-ბაბთისა თეთრი და მწვანე ზოლიანი. თავზედ ლეჩაქი ეხურა. კაეები ჩამოვარცხნილი ჰქონდა და შუბლზედ წვრილი ზილფები ჩამოშვებული. ყელ საბამი უჩანდა პატიოსანის თვალისა და მარგალიტისა.

ბატონის რძალი ელენე, დიასამიძიანთ ქალი, მაღალი ტანისა იყო, შავგურემანი და სულ ნორჩი,—თორმეტის წლისა და ნახევრისა. ელენესაც ემოსა ტყავი, სპარსულის ფარჩის საპირითა და სიასამურით დაბეწვილი, და წითელი დარაია-ბაბთის ახალუხი. თავზედ ლეჩაქს გარდა პატარა წვეტიანი ქუდი ეხურა, ალუბლის ფერის და ხალასა ნაკერის ფარჩისა და სიასამურით შემოვლებული. გულზედ ოქროს ჯაჭვი ჰქონდა, ლალითა და ბადახშით შემკული, და ყელსაბამი—მრავალის ფეროვანის თვალითა და მარგალიტით.

მათნი მხლებელნი ბანოვანნიც დედოფლისა და ბატონის რძლის მსგავსად იყვნენ ჩაცმულნი.

ეკლესიას ლიტანიით რომ შემოუარეს, სამღვდელოება, ბატონი და ერი საყდარში შეეიდა, დედოფალი-კი თავის ბანოვანებით კარიბჭეში დარჩა და წირვის დროს საყდარში არ შემოსულა.

ცისკრის დასასრულს გამოვიდნენ ამბიონზედ ალაეერდელი და ეპისკოპოსნი სახარებითა და ხატებით. მეფე ეამბორა სახარებასა და ხატებს და აკოცა ალაეერდელს ლოყებში. მერე ემთხვივნენ დესპანები და ხალხი. ქართველები ჰკოცნიდნენ ალაეერდელს ზოგი მხარში და ზოგი ხელზედ. მეფემ მიულოცა დესპანებს, გადაჰკოცნა და იოსებ არქიმნდრიტ-კი ხელზედ ემთხვია. რუსებს ეუცხოვათ, რომ ქართველები ლოყებში ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, და არა ტუჩებში,

და ისიც რომ ქართველებმა არ იცოდნენ წითელი კვერცხის ჩუქება.

ქამნის ბოლოს ეკლესიაში შემოიტანეს შემწვარი ბატკნის კერძები და წითელი კვერცხები. რა აკურთხა მღვდელ-მთავარმა სახსნილო, ბატონმა უბოძა სამსავე დესპანს, — კნ. ეოლკონსკის, დიაკს ხვატოესა და იოსებ არქიმანდრიტს, — თითო კვერცხი, აიღო ერთი ბატკნის კერძი და გამოვიდა ეკლესიიდან. ამ ბატკნის კერძს ბატონი გზა-და-გზა სთლიდა, თითონაც მიირთმევდა დ კნ. ეოლკონსკისაც უთავაზებდა. ასე მიდიოდნენ სამეფო სადგომამდე, სადაც მეფემ რუსის დესპანი თავის მხლებლებით სადილად მიიწვია.

X

გადიხადეს პასექი. დრო იყო კახთ ბატონს თავისი დანაპირი აესრულებინა, მაგრამ სად ჰქონდა ღონე, თუ-კი არც დავით ბატონიშვილს და არც დიდებულებს არ სურდათ რუსეთს დამორჩილებოდნენ. ილაჯ-გაწყვეტილმა მეფემ სცადა დიპლომატიური ხერხი დესპანების მოსატყუებლად.

თეიმურაზ მეფემ მოიწვია დესპანები სადარბაზოდ და გამოუცხადა:

— გადავწყვიტე დიდს ხელმწიფეს და მის მომავალს ერთგულობა და ყმობა დავუფიცო, მაგრამ სამს პირ-გამეხებულ ლომს შუა ვარ, გარს მახვევია სამი მტერი: სპარსი, ოსმალო და ლეკი. ახლა თქვენ მითხარით, თუ შევფიცე, გულ-დაჯერებული ვიყო, რომ ხელმწიფე ამ დაუძინებელის მტრებისაგან დამიფარავს და დამიცავს?

— რაკი დაუფიცებ დიდს ხელმწიფესაო, — მოახსენეს დესპანებმა, — ხელმწიფე მაშინვე ყაენს აცნობებს, რომ შენ მის ხელსა და საფარველ ქვეშე ხარ და, სხვათა შორის, მოსთხოვს საქართველოსათვის ბოროტი არა განიზრახოს-რა. უეჭველია, ყაენიც დიდ ხელმწიფეს ხათრს შეუნახავს და აღარ გერჩის. ლეკები თუ აქამდის გავნებდნენ, ეგ იმიტომ რომ ჩვენ ხელმწიფის ხელ-ქვეით არ ეგულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდი, მაგრამ რაკი მიუვათ ამბავი, რომ შენ, შენის შვილითა და სამფლობელოთი, დიდს ხელმწიფეს დაემორჩილე,—როგორც პაპა შენი ალექსანდრე, მამაშენი დავით და ბიძაშენი გიორგი,—მაშინ ლეკები ვერას გაგიბედავენ და, თუ გახლეს ხელი, ხელმწიფე მაშინ-ვე მისწერს დალესტნის მთავრებს აღარ შეგავიწროონ...

ეს იყო და ეს. რუსის ჯარის მოშველებაზედ დესპანებს კრინტიც არ დაუძრავთ. თუმცა ვერაფერი მუქაფა იყო კახთ ბატონის ყმობისათვის ასეთი შველის დაპირება, მაგრამ რუსები მეფის ფიცსა და ქართველების ყმობასაც არ სჯერდებოდნენ. აოხრებულს კახეთს რა ხელს აყრიდნენ? იმათი ჭვალი ის იყო, რაიმე სიწმინდე ხელთ ეგდოთ და მოსკოვს მიეტანათ. ამიტომ გულმა ვერღა გაუძლო და ჩამოაგდეს სიტყვა იესოს კვართზედ.

ქრისტეს კვართსაცა და საქართველოს ყველა სიწმინდეს მისცემდა თეიმურაზ მეფე ოლონდ-კი რუსების შველა ეშოვნა, მაგრამ სადღა იყო კვართი? კვართი ყაენს წაეღო, მცხეთის ტაძარი-კი, საცა კვართი ინახებოდა, ტფილისის ხანს, *) ყაენის ყმას ჰქონდა.

— აღარც მაცხოვრის საბლარდნელი **) და აღარც ღვთის-მშობლის სარტყელი ინახვება რუსთავის ტაძარშიო,—ეუბნებოდა მეფე დესპანებს,—ისიც ყაენმა წაიღო; რუსთავის ეკლესია-კი როსტომ ხანის ხელშია. თქვენცა ნახეთ რავდენად აოხრებულია ჩემი სამეფო, გაძარცული ეკლესიები, რამდენად დაეცა და შეირყვნა ჩვენი სჯული და საეკლესიო წესი. მაგრამ თუ მომეცა დიდ ხელმწიფის შველა, მაშინვე აღვადგენ ქვეყანას და ყველა უწესოებას ხელმწიფის სურვილისამებრ გავასწორებო.

ამით დაასრულა თეიმურაზ მეფემ თავისი საუბარი, დაჰპირდა დესპანებს,—მალე ხელმწიფის ბძანებას ავასრულებ, დავუფიცებ და ფიცის წიგნს ნიკიფორეს ხელით გამოგიგზავნიო,—და დაითხოვა.

---

*) ქართლის მეფე როსტომ.

**) მოსახვევი.

ორიოდე დღის შემდეგ ნიკიფორე მიტროპოლიტმა მოუტანა დესპანებს თეიმურაზ მეფის ფიცის წიგნი. წაიკითხეს რუსებმა, ნახეს რომ ბევრგან განსხვავდებოდა მოსკოვში მოცემულის საფიცარის ასლისაგან, და არ მიიღეს.

უთხრეს: „მოახსენე ბატონსაო, ვერ მივიღებთ ფიცის წიგნსა, თუ ჩვენი მოცემულის ასლის მსგავსი არ იქნა და თუ მეფესთან ერთად ბატონიშვილმა და დიდებულებმა არ დაიფიცესო“.

წამოვიდა ნიკიფორე სირცხვილ-ჭმეული. ვერ გასჭრა ბატონის ხერხმა.

XI

საქმე ისევ თავიდან დასაწყები გახდა: კახთ ბატონს თავისი შვილი და დიდებულები უნდა დაეფიცებინა. კვლავ სცადა მეფემ და ახლა-კი როგორც იყო დაიყოლია. მისი მშველელი ამ ძლეს საქმეში ალბათ რუსთველი ეპისკოპოსი იაკობი იქნებოდა, რომელიც ამას წინად სპარსეთიდან დაბრუნებულიყო.

ეს მღვდელ-მთავარი სხვა დიდებულებთან ერთად თეიმურაზ მეფემ აახლა თავის ქალს თინათინს, როცა შაჰსეფის საცოლედ უგზავნიდა. ისპაანიდან დაბრუნებულმა დესპანებმა მოუტანეს ბედნიერ ხელმწიფის ნაბოძი ხალათები თეიმურაზ მეფესა და დავით ბატონიშვილს, და ერთი ხალათიც რევაზ-ბეი ჩოლაყაშვილს, სალთხუცესს, რადგან ამისათვისაც წაერთმია ყაენს ქალი.

უეჭველია, ყაენის კარზედ რუსთველს დაანახვებდნენ ქრისტეანობის დამცირებას, იქ შეაგნებინებდნენ კახთ ბატონის არარაობას. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ყაენის ქორწილი რად ღირდა, რომელსაც რუსთველი უნდა დასწრებულიყო! საზიზღარი და ბილწი ქებინი ურჯულო თათრისა ძალად წართმეულს ქრისტეან მეფის ასულზედ,—ამაზედ შემაქრწუნებელი და საწყენი რა იქნებოდა მღვდელ-მთავრის და მამულიშვილის გულისათვის? იმიტომაც შესაძლებე-

ლია, რომ სპარსელებზედ გულამღვრეული რუსთველი თეიმურაზ მეფეს გამოსარჩლებოდეს და შეეგონებინოს ბატონიშვილისა და დიდებულებისათვის, რომ რუსეთს იქით კახეთს შეელა არსაიდან მოელის.

ასე იყო თუ სხვაფრივ, დაიყოლიეს ბატონიშვილი და დიდებულნი ფიცის წიგნზედ ხელი მოეწერათ მაინც, თუ არ დაეფიცნათ.

რამდენისამე დღის შემდეგ კახთ ბატონმა მოიწვია წირვაზედ რუსები და წირვის შემდეგ ხელი მოაწერა და ბეჭედი დასო ფიცის წიგნზე, დესპანების მოცემულს დედანსაებრ დაწერილს. მერე რუსთველმა მოაწერა ხელი,—ალბათ სხვების შესაგულიანებლად, თორემ მისი ხელის მოწერა მაინც და მაინც საჭირო არ იყო. რუსთველის შემდეგ ხელი მოაწერეს და დასვეს ბეჭედი დავით ბატონიშვილმა და მეფის მრჩეველებმა დიდებულებმა.

მერე თეიმურაზ მეფემ ალავერდელს ჯვარი მოატანინა. წაუკითხა დესპანებს ფიცის წიგნი, დაადო ზედ ჯვარი, ემთხვია და წარმოსთქვა:

— ფიცით ვუმტკიცებ, ჩემთავად და ჩემის ძის დავითისა და სრულიად ივერიის მაგივრ, მეფეს მიხაილ ფეოდოროვიჩსა და მის ძეს ალექსეი მიხაილოვიჩს, რომ მე, ბატონიშვილით დავითითა, ყველა ჩვენის მომავალითა და სრულიად ივერიითა უკუნითი უკუნისამდე დიდის ხელმწიფის მორჩილი ვიქნები. ხოლო ხელმწიფეც მოვალეა გვფარვიდეს ჩვენ, გვიცავდეს მტრისაგან, გეშველიდეს გაჭირვებაში და არასოდეს არ გაგვწირვიდეს. მე, ჩემს შვილს დავითს, ჩვენს დიდებულებსა და მთელს ივერიას ღვთის გარდა იმედი არავისი გვაქვს და დიდს ხელმწიფეს გარდა შველას არავისგან მოველით.

სთქვა მეფემ, გამოიღო ფიცის წიგნი და გაუწოდა დესპანებს, მაგრამ... რუსებმა არ მიიღეს. სთქვეს თუ—„ჯერ ბატონიშვილმა და დიდებულებმა დაიფიცონ, და მაშინ ჩამოგართმეეთო. მაგისთანა საფიცარი უფრო მტკიცე იქნება და ხელმწიფისათვის უფრო სანდო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ჩემ თავადაც დავიფიცე და სხვების მაგიერადაცაო, — თავს იმართლებდა ბატონი. — ჩვენ ჩვეულებად არა გვაქვს, ყველამ ცალკე ვიფიცოთო.

მაგრამ არც ეგრე ადვილი იყო გაქნილი დიაკის გაბრიყვება.

— ეგ ვერაფერი საბუთია, რადგან უწინ, პაპაშენმა ალექსანდრე მეფემ რომ დიდს ხელმწიფეს ფიცი მისცა, სხვის მაგიერ როდი დაუფიცნია, არამედ მისმა შვილებმა: დავითმა — მამაშენმა, გიორგიმ — ბიძაშენმა და აგრეთვე დიდებულებმა, ყველამ ცალკე, თითო-თითოდ დაიფიცეს დაუყოვნებლივ.

ასე მოახვენეს დესპანებმა თეიმურაზ მეფეს და პირი დაუყვეს. ან რა ეთქვა ბატონს? ხომ არ ეტყოდა: იმიტომაც არ იფიცებენ ახლა დათუნა ბატონიშვილი და დიდებულები რომ მამაჩემსა, ბიძა ჩემსა და მაშინდელს დიდებულებს მათმა ფიცმა ცუდად ჩაუარაო!... ან რა ექნა მეფეს? ხომ ვერ გამოაცხადებდა თავის უძლურებას და ბატონიშვილისა და დიდებულების ურჩობას? ხომ ვერ დაუწყებდა თავის შვილსა და ვეზირებს რუსებთან ხვეწნას: დაუფიცეთ რუსთ ხელმწიფესაო!

დაღონდა მეფე. — „კარგიო, მაცალეთ მოვიფიქროო", — უთხრა რუსის დესპანებს და დაითხოვა.

XII

განვლო რამდენმამე დღემ და ფიცის საქმე მაინც ვერ გადაწყდა. დავით ბატონიშვილი, რომელსაც მეფემ ძლივს მოაწერინა საფიცარზედ ხელი, ურჩობდა და არა ნებდებოდა ფიცის მისაცემად. მეფესა და სეფისწულს შუა დიდი უსიამოვნება ჩამოვარდა. ამ გაჭირებისათვის რომ თავი დაეღწია, კახთ ბატონმა სცადა ერთხელაც დიპლომატიური ხერხი.

მიუგზავნა დესპანებს ისევ ნიკიფორე მიტროპოლიტი იმავე ფიცის წიგნით და შეუთვალა: დავით ბატონიშვილმა და დიდებულებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიფიცესო. რაღა თქმა უნდა, რომ რუსები მაშინვე მიხედნენ ამ უსუსურ ხრიკს და ასე მიუგეს ნიკიფორეს:

— დიალამც ენახეთ რომ ბატონიშვილმა და დიდებულებმა ფიცის წიგნს ხელი მოაწერეს, მაგრამ მათი წარმოთქმული ფიცი-კი არ გაგვიგონია და ამიტომ ვერც გამოგართმევთ საფიცარსა. ეიცით, ბატონსა და მის შვილს შორის უთანხმოობაა და ეაი თუ მაგისაგან შემდეგში ერთი რამ უბედურება წარმოსდგესო.

ასე გამოისტუმრეს რუსის დესპანებმა ჩვენი გაცრუებული დიპლომატი.

მაგრამ იმავე დღეს თეიმურაზ მეფემ მიუგზავნა დესპანებს ნათანაელ მდივანი, ერთის აზნაურით, და მოიწვია ყველა საქმეების დასასრულებლად იმავე ზეგანის ეკლესიაში.

რომ მოვიდნენ, მეფე მიეგება დესპანებს, მოიკითხა და ეკლესიაში მიიწვია.

— იმ დღეს გულნაკლულნი წახვედით და ფიცის წიგნი არ გამომართვეთო,—უსაყვედურებდა კახთ ბატონი,—არც ნიკიფორე მიტროპოლიტისაგან მიიღეთ ჩემი საფიცარი. არ ეიცი, თქვენი უარის მიზეზი რა არის, მაგრამ მე-კი ძალიან მაწყენინეთ.

— ვერ მივიღებთ ფიცის წიგნსაო,—მოახსენეს დესპანებმა,—სანამ დავით ბატონიშვილი და დიდებულნი ჩვენ წინ ჯვარზედ არ დაიფიცებენ. გვეშინიან, ეაი თუ შენსა და შენს ძესა და დიდებულებს შორის უთანხმოებისაგან რაიმე უსიამოვნება წარმოსდგესო.

ბოლოს, როგორც იყო,—მეფის მუდარამ გასჭრა თუ მუქარამ,—დავით ბატონიშვილმა და დიდებულებმა დაიფიცეს ჯვარზედ, როგორც დესპანები ითხოვდნენ.

„ურჯულოთა დევნის ასაცილებლად ამაოდ ვეძებდით შველას ხონთქრისა და ყაენისაგან. ახლა დიდ ხელმწიფის მინდობილნი და მსასოებელნი ველით მისგან შველასა და მფარველობას და მისთვის შეგვეევდრებია ჩვენი თავიო“,—იმეორებდნენ მეფის სიტყვებს დავით ბატონიშვილი და დიდებულები და ემთხვეოდნენ ჯვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა-კი დაიჯერეს გული რუსის დესპანებმა და ჩაიბარეს ფიცის წიგნი.

ამ ძნელს საქმეს რომ მორჩნენ, სასულიერო საქმეებს შეუდგნენ.

მეფეს არ უნდოდა რუსის სამღვდელოება გულნაკლული წასულიყო და ჯერ სცადა ალაევერდელი და იოსებ არქიმანდრიტი შეერიგებინა. იოსებ არქიმანდრიტმა მოახსენა კახთ ბატონს:

— ჩვენის თვალითა ენახეთ და დაერწმუნდით რამდენად განსჭვალულნი არიან ქართველნი ქრისტეს სჯულითა, მაგრამ აუცილებლად საჭიროა გაიწმინდოს თქვენი სჯული ზოგიერთის უწესოების მოსპობით თქვენს წირვასა, ლიტურგიასა და ნათლისღებაში. მზადა ვარ ზებედეს შეურიგდეო,—დასძინა არქიმანდრიტმა,—თუ თქვენსა სამღვდელოებისა, დიდებულებისა და ხალხის წინ გამოაცხადა ის სამოძღვრებელი წერილი, რომელიც მე გაეუგზავნე და რომელშიგაც აღვწერე ყველა ნაკლულევანება თქვენის სჯულისა.

ამ სიტყვაზედ გამწყრალმა ალაევერდელმა ხმა არ ამოიღო.

მაინც ითათბირეს და ორისავე სამღვდელოების და მეფის თანხმობით დაადგინეს: ამას იქით ტრაპეზი საკურთხეველის შუაგულობას დაემკვიდრებოდეს; ნათლისღების დროს ბავშვი სამგზის ამოიღლოს წყალში; აიკრძალოს მამაკაცისა და დედაკაცის ერთად ცხოვრება უქორწინოდ; აიკრძალოს ქორწინება დიდ მარხვაში; მოისპოს უწესოება, რომელსაც გლოვის დროს სჩადიან ხოლმე მიცვალებულის ნათესავნი, როგორც: წელამდე გატიტვლება, თმების დაშლა, პირში ცემა და სხვა ამგვარი უჯერობა, არა თუ განათლებულ ხალხისათვის, არამედ წარმართთათვისაც უხამსი და საძრახავი.

სჩანს, რუსის მოხელეებსა და სამღვდელოებას ამ სამის საუკუნის წინადაც სცოდნიათ ხალხის წვრთნა და განათლება კომისიის დადგენილებითა და ცირკულარებით.

ეს საქმეც რომ გაარიგეს, მეფემ დაითხოვა დესპანები. გადაჰკოცნა კნ. ეოლკონსკი და დიაკი ხვატოვი, იოსებ არქიმანდრიტს-კი ხელზედ ემოხვია. გამოსალმებისას კახთ ბატონმა ბოდიში მოიხადა

სარჩოს ნაკლულევანებისათვის: „ყაჭის მოსავლამდე რომ მოგეცადნათ, ეგრე ხელ-მოკლედ როდი დაგითხოვებდითო“

XIII

რუსის დესპანები შამახის და დერბენდის გზით გაისტუმრეს. ყაენის ფირმანი, იქაურ ხანების სახელზედ მიწერილი, ჩააბარეს დესპანებს და უზრუნველ ჰყვეს მათი მგზავრობა.

რუსის დესპანებს თეიმურაზ მეფემ გააყოლა თავისი ერთგული მესაიდუმლე ნიკიფორე მიტროპოლიტი, რომელსაც უნდა მიერთმია რუსთ ხელმწიფისათვის კახთ ბატონის წიგნი და პირად მოეხსენებინა შველისა და მფარველობის ვედრება. ძალიან ემძიმებოდა ნიკიფორეს ეს მოლიქულობა, მაგრამ რა ექნა, თუკი მეფეს სხვა სანდო და გონიერი კაცი საჰეფოში არავინ ეგულებოდა; თუკი არავინ იყო, ვისაც სცოდნოდა ან სიტყვის ჩამორთმევა, ან პასუხის მიგება, ან ბატონის ნაბძანების დახსოვება; თუკი... იმ დროსაც არ იყვნენ კახელები განთქმულნი თავიანთის დიპლომატობით.

მეფეს მიხაილ ფეოდოროვიჩთან მიწერილ წიგნში კახთ ბატონი კვალად და კვალად იმეორებდა თავის თხოვნას, რომ რუსთ ხელმწიფეს მოეცა შველა ურჯულოების და მეტადრე ლეკების დასამარცხებლად. ამისათვის რუსებს უნდა გამოეგზავნათ მეშველი ჯარი და აეგოთ ციხე ლეკეთის საზღვრებზედ.

ამ შველის მოსაპოვებლად თეიმურაზ მეფე არაფერს არ იშეტებდა. თავისი თავი, სახლი, ერი და ქვეყანა რუსთ ხელმწიფეს შესწირა, ესეც ეცოტავა და სწუხდა რატომ მცხეთა ხელთ აღარა მაქვს, რომ ქრისტეს კვართი ან სხვა რამე სიწმინდე მიეართვაო. რაკი სიწმინდე არა მოეპოვებოდა-რა და ცარიელი კახეთი რუსთ ხელმწიფისათვის სახარბიელო ლუკმა არ იქნებოდა, მეფე ჰპირდება ოქროსა და ვერცხლის მადნების ნახევარ შემოსავალს.

ეს საარაკო მადნები, აქამდის ვითომც დამალული და სპარსთა-

გან უცნობი, კახთ ბატონს ახლა რუსთ ხელმწიფისათვის უნდოდა გაეხსნა და ამისათვის სთხოვდა, მემადნეები გამომიგზავნე, სანამ-კი ეს საიდუმლო ამბავი შენს დიდ ვეზირს გარდა არავის გაუმჟღავნოო...

რუსები თუ ნებით არ მოდიოდნენ კახეთში, თეიმურაზ მეფეს დიპლომატიურ ხრიკით მაინც უნდოდა შემოეტყუებინა.

ასე გათავდა კნ. ოლკონსკის დესპანობა, რომელიც სრულს დიპლომატიურ გამარჯვებად ჩაითვლება.—რუსის დესპანმა ხელ-ფეხ შეკრული კახეთი თავის ხელმწიფეს ხელთ ჩაუგდო და სამაგიეროდ იმის მეტს არას დაჰპირებია კახთ ბატონს, რომ დიდი ხელმწიფე მისწერს ყაენსა და ლეკების ხანებს აღარ შეგაწუხონო.

თავის თხოვნის პასუხი თეიმურაზ მეფემ მიიღო სამის წლის შემდეგ, 1642 წ.—რუსთ ხელმწიფეს გამოეგზავნა დესპანად კნ. მიშეცკი და გამოეტანა საჩუქრები: მეფისთვის ოცი ათასი ეფიმოკი (ათასი თუმანი) და დედოფლისა, ბატონიშვილისა და დიდებულებისათვის ორას ოცის თუმნის სიასამური.

დიდი ხელმწიფე სწერდა კახთ ბატონს: ყაენსა ეთხოვე, ხელი არ გახლოს და დამპირდაო; ლეკეთის საზღვარზედ-კი ციხეს ვერ ავაგებ, მეტად შორს არის აქედან ლეკეთი და ჯარს იქ ვერ შევინახავო. რაც შეეხება მადანს, მუშაობას ვერ შევუდგები, სანამ ლითონის ნიმუშებს არ გამომიგზავნიო...

ასე გაუცრუდა კახთ ბატონს ერთხელ კიდევ რუსის შველის იმედი.

ალ. სარაჯიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუ-მუნჯების
და
ბრმების მეგობრები.

ეელათვე ყველა ქვეყნებში ყოფილა ბლომათ ბრმები და ყრუ-მუნჯები, მაგრამ მათზე არაკის უზრუნვია, არაკის უფიქრია, რომ ცოტათი მაინც ხელი შეეწყოთ და ამითი ბედნიერება მიენიჭებინათ მათთვის. უწინ ეს ბუნებით დაჩაგრულები უფრო უბედურები იყვენ, ვიდრე ახლა. მათთვის არც სწავლა იყო, არც განვითარება და თუ ვინმე გამოჩნდებოდ კაცთ-მოყვარე და ყურადღებას მიაქცევდა ამ ბედკრულებს, ამისთანა პირები სწორეთ საქებ-სადიდებელნი იყვენ. მართლაც ადვილი ხომ არ არის კაცმა ასწავლოს ისეთ მოწაფეს, რომელსაც თავის დღეში არაფერი არ დაუნახავს, ან აალაპარაკოს ყრუ-მუნჯი; გამოათქმევინოს აზრი იმას, ვისაც თავის დღეში არ გაუგონია რაიმე ხმა.

ძველ დროში, თავდაპირველათ, როგორც წინეთ ვთქვით, არც ერთ ადამიანს არ უცდია, რომ რითიმე შესწეოდა უბედურ ბრმებს და ყრუ-მუნჯებს, მეტადრე ამ უკანასკნელებს, რომლებსაც ადარებდენ გაჭგებარ პირუტყვებს და ზიზღით შეჰყურებდენ. იმ ძველ დროში ბრმებს უფრო პატივით იხსენებდენ, ბრმა მეფეებზე და ბრმა მოლექსე მეჩონგურეებზე ბევრი თქმულება იყო.

მეთექვსმეტე საუკუნიდან გამოჩნდენ თითო-ოროლა კაცთ-მოყვარე ადამიანები, რომელნიც ფიქრობდენ და ზრუნავდენ ამ უბედურებზე. იგონებდენ ანბანს, პირის მოძრაობით ყრუ-მუნჯებს ანიშნებდენ ხმას და ყოველ ლონის-ძიებას ხმარობდენ, რომ საგონებელში ჩაეგდოთ ისინი.

ხოლო მეთერამეტე საუკუნეში-კი ფრანგმა აბატმა დელეპემ და საქსონელმა სამუილ გეინიკემ დააყენეს ყრუ-მუნჯების სწავლა შესაფერ წეს-რიგზე. ამ შესანიშნავ კაცთ-მოყვარე გამრჯელ პირების ცხოვრებას მოგიყვებით, ჩემო მკითხველნო.

მიშელ დელეპე დაიბადა 1712 წელს, 25 ნოემბერს, პარიზის ახლოს, ვერსალის სასახლეში. მისი მამა ხუროთ-მოძღვარი იყო სასახლეში. პატარობითვე მიშელ დელეპემ განიძრახა ეკლესიისთვის ემსახურნა, თუმცა მის დედ-მამას ეს არაფრათ მოსწონდათ. მაგრამ მალე თითონაც ვერ მოუურიგდა მაშინდელ სამღვდელოების აზრებს; ისინი გადაემტერენ, დიდხანს არ აძლევდენ ეკლესიას და მრევლს და როცა მისცეს ადგილი, ისევ მალე წაართვეს. იქამდის მივიდენ, რომ აღუკრძალეს სამღვთო სჯულის სწავლება. მაშინ მიშელ დელეპემ მოინდომა სხვა გზაზე დადგომა, დაიწყო კანონების შესწავლა, მართლ-მსაჯულობაში გამოიცადა და ბოლოს მიჰყო ხელი ვექილობას, მაგრამ გული არც ამ საქმეზე მიუვიდა, ის ძალიან ჩვილი და წყნარი ხასიათისა იყო და იმ საქმეში ვერ გამოდგებოდა, სადაც უფრო მოხერხება და ფხიზლობა იყო საჭირო. მიშელ დელეპეს ამ დროს მოუკვდა დედ-მამა და ის მაშინვე დასახლდა პარიზის ერთ მიყრუებულ უბანში, შემოიწყო გარშემო წიგნები და დაიწყო მყუდროთ ცხოვრება.

ის ასე განდეგილათ უსათუოთ დიდხანს იცხოვრებდა, რომ ერთხელ შემთხვევით ისეთ გზას არ დასდგომოდა, რომელმაც მიიყვანა იქამდის, რომ მისი სახელი გაითქვა, როგორც ქვეყნის კაცთა მოყვარისა.

ერთმა მისმა ნაცნობმა, მონასტრის ძღვდელმა, აიყვანა სასწავლებლათ ორი ყრუ-მუნჯი ქალიშვილი; ესენი ემეზობლათ, მონასტრის პირდაპირ ცხოვრობდენ. მოხუცებული მღვდელი რამდენსამე თვეს ასწავლიდა იმათ, მერე უცბათ ავათ გახდა და მოკვდა. ამ ხანებში მიშელ დელეპეს მოუხდა მისვლა ამ ყრუ-მუნჯების ოჯახში. ყმაწვილების დედამ ტირილით შესჩივლა, რომ მის ყრუ-მუნჯ შვილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოესპოთ ერთათ-ერთი ნუგეში და ბედნიერება, მოხუცი ასწავლიდაო, სანამ ცოცხალი იყო და ახლა ამ უბედურ ბავშებს მოაკლდათ ყოველიეე სიხარულიო. აბატ მიშელმა მაშინვე აღუთქვა დედაკაცს, რომ დღეისიქით შენ შვილებს მე ვასწავლიო. თუმცა მომზადებული არ იყო, გულ-მხურვალეთ მოჰკიდა ხელი ამმისთვის ახალ საქმეს. აბატმა ისიც-კი არ იცოდა, თუ სხვებს კიდეც ემუშავნათ ამ საქმეზე; მხოლოთ ბოლოს შეხვდა მას ისეთი წიგნები, სადაც აწერილი იყო ვის როგორ ესწავლებინა ყრუ-მუნჯებისთვის.

იმ დღიდან მიშელ დელეპემ როგორც ზეციდან ჩაგონილმა მოჰკიდა ხელი ყრუ-მუნჯების სწავლებას და ამას შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე.

1760 წელს მან დააარსა საკუთარი ხარჯით სკოლა ყრუ-მუნჯებისთვის. ამ სკოლას ახმარებდა მთლათ თავის შემოსავალს, რომელიც ერჯო მემკვიდრეობით. მხოლოთ სულ ცოტაოდენს იტოვებდა ჯიბის სახარჯოთ; მაგრამ ამ დიდ საქმეს ეს ფული სიძვირის გამო ვერ უძღვებოდა და ხშირათ აბატი მოკლებული იყო იმასაც-კი, რაც აუცილებლათ საჭიროა ყოველ ადამიანისთვის; იქამდის მიეიდა საქმე, რომ ერთ დროს, ცივ სასტიკ ზამთარში ის არ ანთებინებდა ცეცხლს თავის საწოლ ოთახში, შეშა არ დამეხარჯოსო. სიცივე საშიში იყო ხანში შესულის ჯან-მრთელობისათვის. მეგობრები და ამხანაგები ეხვეწებოდენ თავს გაუფრთხილდიო, მაგრამ ის ამას ყურადღებას არ აქცევდა. მაშინ ერთ დღეს ყველა მოწაფეებმა, ორმოცამდის, თავი მოიყარეს, შემოეხვიენ მაშელ დელეპეს და შეეხვეწენ გაფრთხილებოდა მათთვის ძვირფას სიცოცხლეს. ყმაწვილების ხვეწნამ გული მოულბო აბატს, მან დაუწყო თავს წამლობა და მას აქეთ ყურს უგდებდა თავის ჭამა-სმას და სადგომს, თუმცა ძალიან ენანებოდა თავის თავზე ხარჯი. „საბრალო, ბავშებო,—ეუბნებოდა ის თავის მოწაფეებს—ამ მეტი ხარჯით ჩემზე ხომ თქვენ გაკლდებათ“.

აბატ დელეპეს მოღვაწეობა ცნობილი იყო მთელ პარიზში და ერთი შემთხვევის შემდეგ მან მთელ საფრანგეთშიაც გაითქვა სახე-

ლი. ერთხელ მოჰგვარეს ყრუ-მუნჯი ყმაწვილი, რომელიც ეპოვათ პარიზის ქუჩაში უმოწყალო მდგომარეობაში.

აბატმა მიიღო ეს უბედური, დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში გახვეული ყმაწვილი ჩვეულებისამებრ ალერსით და მზრუნველობით. ბავშვი ცდილობდა ხელებით და სახის მოძრაობით ენიშნებინა რაღაც; აბატმა ამას ყურადღება მიაქცია, მეტადრე იმიტომ, რომ ბავშს, თუმცა საბრალო, დაჩაგრული შეხედულობა ჰქონდა, მაინც ეტყობოდა, რომ დიდიკაცის შვილი უნდა ყოფილიყო და



ბევრი ბედნიერი დღეები უნდა ენახა. მიშელ დელეპემ დიდი გაჭირვებით შეიტყო ბავშისაგან, რომ ის ქალაქ ტულუზიდან იყო. მაშინვე თავის თანაშემწეს გააყოლა ბავში იმ ქალაქში, რომ გამოეძია მისი ვინაობა. აბატის ეჭვი გამართლდა. აღმოჩნდა დიდი დანაშაულობა. ეს უბედური ყმაწვილი ყოფილიყო ჩამომავალი და ნამდვილი მემკვიდრე გამოჩენილი მდიდარი ტულუზის გრაფ სულარისა. ყმაწვილს ბავშობაშიეე დედ-მამა მოჰკლომოდა და ნათესავებს დრო

ხელთ ეგდოთ, საბრალო ყრუ-მუნჯი უპატრონოაო, და მოენდომებინათ იმის აელა-დიდებას დაპატრონებოდენ. წაეყვანათ უცხო ქალაქში, ჩაეცმიათ მისთვის მათხოვრის ტანისამოსი და ქუჩაში მიეტოვებინათ, ქალაქ ტულუზაში-კი გამოეცხადებინათ, ბავში მოკვდაო. აბატმა უჩივლა მათ სასამართლოში, ატყდა მთელ საფრანგეთში მითქმა-მოთქმა. საქმე გათავდა იმითი, რომ ყრუ-მუნჯ გრაფს დაუბრუნეს ყველა უფლებები და მამულები. უბედური ყმაწვილის ბედი ბოლოს მაინც სამწუხაროთ გათავდა. აბატის დელეპეს სიკვდილს შემდეგ, რომელიც იყო ყმაწვილის ნამდვილი მეგობარი და მფარველი, გრაფს ნათესავებმა ხელ-ახლათ წაართვეს შეძლება. ყმაწვილიკაცი სამხედრო სამსახურში შეეიდა და მალე ომში მოჰკლეს.

კაცთ-მოყვარე აბატის სახელი გაითქვა არა თუ მთელ საფრანგეთში, შორს ქვეყნებშიაც-კი, და ყველა თანაგრძნობით იხსენიებდა მას. 1780 წელს რუსის ხელმწიფამ ეკატერინე მეორემ თავისი ელჩის ხელით გაუგზავნა აბატს დიდი ფული, მაგრამ აბატმა არ მიიღო საჩუქარი. „გთხოვთ გაისარჯოთ და გადასცეთ დედოფალს, — უთხრა იმავე ელჩს, — რომ მე საჩუქარს არ ვიღებ, და თუ თქვენ დედოფალს მაგითი უნდა ყურადღება მიაქციოს ჩემ მოღვაწეობას, იმ შემთხვევაში მოწყალების ნიშნათ მომანდოს ერთ-ერთი ყრუ-მუნჯი რუსის აღზრდაო“.

ფულის აღების უარი აბატის მიერ უფრო იმითი აიხსნება, რომ იმას არ უნდოდა მიეღო შემწეობა უცხო ქვეყნის მმართველობისაგან, როდესაც შინაურები არაფერ ყურადღებას არ აქცევდენ. თუმცა კერძო პირები სწირავდენ ფულებს და თითონაც იკლებდა ყველაფერს, შევიწროებულათ ცხოვრობდა, მაინც ხარჯი აღემატებოდა ყოველთვის შემოსავალს. ამიტომაც არა ერთხელ მიმართა აბატმა საფრანგეთის მმართველობას, რომ მას დაენიშნა ყოველ წლიური შემწეობა. ლუდოვიკი XVI თუმცა ყოველთვის თანაუგრძნობდა მის საქმეებს, მუდამ ჰპირდებოდა შემწეობას, და პირობას კი არაოდეს არ ასრულებდა.

ამ გაჭირების დროს, როდესაც აბატმა არ იცოდა როგორ შეეთანხმებინა შემოსავალი გასავალთან, მოხდა ერთი შესანიშნავი ამბავი.

ერთხელ დილით, როდესაც აბატი თავის სახლში წირვაზე იდგა, მასთან შეეიდა ვიღაც უცნობი კაცი და თხოვა ნება მიეცათ მისთვის, რომ ემსახურნა წირვის დროს; შემდეგ დაესწრო ყრუ-მუნჯების გაკვეთილებზე, ბოლოს აბატს რომ ესალმებოდა გადასცა რაღაც პატარა შეკრული. ეს იყო ძვირფასი ბურნუთის კოლოფი, რომელზედაც გამოსახული იყო ავსტრიის იმპერატორის იოსებ მეორეს სურათი. გამოჩნდა რომ ის უცნობი, რომელიც აბატს ემსახურებოდა წირვაზე თვითონ ხელმწიფე ბრძანებულიყო. აბატს თურმე დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა როგორც თავისი პიროვნებით, ისე საქმისთვის თავ-განწირულობით. გარდა ძვირფასი ბურნუთის კოლოფისა, რომელიც უთავაზა აბატს და ორმოც-და-ათი ოქროსი, რომელიც იმავე დროს მოწაფეებს მისცა, იოსებ მეორემ თხოვა აბატს გადასახლებულიყო ავსტრიაში, სადაც უპირებდა კარგა დაბინავებას. „მე ახლა მოხუცებული ვარ, თქვენო უდიდებულესობავ, —უთხრა აბატმა,—თქვენ მოწყალება მოიღეთ ჩემ საქმეზე და არა ჩემზე. მე ერთი ფეხი სამარეში მიდგია. უზრუნველ მდგომარეობაში ჰყავით ეს ჩემგან დაწყებული საქმე, რომელიც მთელი კაცობრიობისთვის სასარგებლოა. ეს საქმე ისეთი დიადია, რომ ღირსია თქვენისთანა ხელმწიფემ გაუწიოს მფარველობა. იოსებ მეორე დაჰპირდა რომ არ მოაკლებდა თავის ყურადღებას და ეცდებოდა რომ საფრანგეთის მმართველობას ღირსეულათ ხელი გაემართა ამის თანა სასიქადულო საქმისთვის, და მერე თავის სატახტო ქალაქ ვენიდან გამოგზავნა ერთი მღვდელი, რომელსაც უნდა შეესწავლა აბატისაგან, თუ როგორ უნდა ყრუ-მუნჯებს სწავლება და მერე უნდა მოეწყო ამისთანა სასწავლებელი ავსტრიაშიაც.

იმპერატორი იოსებ მეორეს მფარველობა და თხოვნა არ დარჩა უყურადღებოთ ფრანგების მმართველობისაგან. იოსებ მეორეს საფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეთიდან წასელის შემდეგ დიდხანს არ გაუელია როცა დელეპემ მიიღო ამბავი, რომ მმართველობას დაენიშნა იმის სასწავლებლისთვის შემწეობა. მართალია ბევრი არაფერი იყო, მაგრამ ამ მცირე შემწეობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აბატისთვის. იმისი ნატერა კი რომელიც ბოლოს ოცნებათ გადაექცა, რომ მისი სასწავლებელი საფრანგეთის მმართველობას სახელმწიფოს სასწავლებლათ მიეჩნია და ამითი სამუდამოთ უზრუნველ ეყო მისგან დაფუძნებული საქმე, მხოლოთ მის საკვდილს შემდეგ განხორციელდა.

აბატ დელეპე მოკვდა 23 ქრისტეშობისთვეს 1798 წ. სამოცდა ჩვიდმეტი წლისა. ძნელი წარმოსადგენია ის მწუხარება, რომელიც მისმა მოწაფეებმა და მეგობრებმა იგრძნეს მისი დაკარგვით.

ჩამომავლობამ არ დაივიწყა ამ კაცთ-მოყვარეს მოღვაწეობა. მის სიკვდილის ორმოც-და-ხუთ წელს შემდეგ ამ შესანიშნავ კაცს აუგეს ქალაქ ვერსალში ძეგლი. მარმარილოს მექონოთზე გაკეთებულია აბატის ქანდაკება: ერთი ხელი გაშვერილი აქვს ზეცისკენ, მეორეში უჭირავს ფიცარი, რომელზედაც ყრუ-მუნჯების ნიშნებით გამოსახულია მხოლოთ ერთი ძრიელი სიტყვა: „ღმერთი“.

ან. წერეთლისა.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური გეოგრაფია. *)

(პროფესორი გეიკისა)

VI. ღელეები და მდინარეები.



მათი გაჩენა.

ახლა მოვიგონოთ წინათ ნათქვამი იმის შესახებ, თუ წვიმის წყალს რა ემართება, სად მიდის. (იხილე თებერვლის ჯეჯილი) მაშინ ვამბობდით რომ ერთი ნაწილი წვიმის წყლისა ძირს, ქვესკნელში მიდის-თქო. ჩვენ კიდევაც გავიცანით ამ წყლის მიწაში მოგზაურობა და მისი ისევ ზევით ამოსვლა. ახლა-კი წვიმის წყლის მეორე ნაწილი უნდა გავითვალისწინოთ, სახელდობრ ის ნაწილი, რომელიც დედამიწის პირზედ ღელეებათ და მდინარეებათ მიმომდინარეობს. ამ მიზნის მისაღწევათ საღმე თავქვე, თავდაღმართი გზა შეარჩიეთ; ვთქვათ ამ თავდაღმართში თქვენ მაშინ მოხვდით, როცა, სადაც არის, წვიმა უნდა წამოვიდეს; თქვენც შედექით და იწყეთ ყოველივეს გულდასმით თვალიერება; აგერ ციდან წვეთებიც გადმოვარდა; ხედავთ, რომ ეს წვეთები გზაზე დაღს აჩენს; გახშირდა

*) იხილე ჯეჯილი № VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვეთები, გახშირდა დაღებიც გზაზე. მაგრამ აგერ წვიმა თან-და-თან მატულობს, ხოლო დაღები გზაზე თან-და-თან იშლება, ჰქრება და ბოლოს, როცა წვიმა ძალზე დაასხამს, გზაც პატარა ღელეებით იფინება. აბა, ახლა ამ გზაზე წყლის მიმდინარეობას დავაკვირდეთ. თქვენ ამჩნევეთ, რომ გზაზე ბევრი პატარ-პატარა ოღრო-ჩოღრო ჩნდება; აგერ გზა გაჭმულა, აგერ ქვა გამოჩენილა; ამ ქვას წინეთ ვერც დაინახავდით, თუ წვიმას არ გადაერეცხა და არ გამოეჩინა. ეს უსწორ-მასწორობა, ოღრო-ჩოღროები სცვლის წყლის მიმდინარეობას. ხედავთ წყლის წვეთები შეერთდენ და რუები გაჩდენ, რუებიც თავქვე გარბიან, ხოლო დიდის მანჭვა-გრეხით, ხან იქით უხვევენ, ხან აქეთ, იმისდა მიხედვით, თუ წინ რა ეღობებათ; ყოველი ქვა თუ მიწის ზვავი იმის მიმდინარეობას აფერხებს, სცვლის. თავდაღმართის დასაწყისში ღელეები პატარები არიან, ხოლო რამდენიც ქვეით ეშვებიან, იმდენი დიდდებიან და ფართოვდებიან. ეს სურათი,—თავდაღმართი გზა, დიდი წვიმის დროს ღელეებით დაქსელილი, როცა ღელეები დაბლობისაკენ თანდათან დიდდებიან, ფართოვდებიან, მშვენიერი მაჩვენებელია იმისა, თუ წვიმა დედამიწის ფერდოებზედ როგორ მიმდინარეობს. მაგრამ ამ მაგალითს ჩვენ კიდევ დაუბრუნდებით.

მერე წყალი თავდაღმართში, თავქვე რათ მიისწრაფვის? მდინარეები რათ მიმდინარეობენ ყოველთვის ერთი და იგივე მიმართულებით? ყოველივე ამას წყალი თუ მდინარე ჩადის იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც მაღლა ასროლილი ქვა ისევე ძირს, დედამიწაზე ეცემა. მერე რა არის ეს მიზეზი? ეს მიზეზი არის ის ძალა, რომლითაც დედამიწა ყოველივე საგანს თავის შუაგულისაკენ იზიდავს; ამ ძალას მიმზიდველობის ძალა ჰქვიან. (სხვანაირათ-სიმძიმე). ყოველი წვიმის წყლის წვეთი დედამიწაზე იმიტომ ეცემა, რომ მას დედამიწის მიმზიდველობის ძალა ძირს ეწევა. ხოლო მიწაზე დაცემის შემდეგაც იგი ამ მიმზიდველობის ზედგავლენის ქვეშ არის, რის გამოც იგი დაფენებისაკენ, დაბლობისაკენ ეშურება, რადგან ეს გზა იმისთვის უფრო მოხერხებული და მომარჯვებულია. წყლის წვეთი მიწაზე სწრა-

ფათ და პირ-და-პირ ეცემა, ხოლო მისი მიმდინარეობა შემ-დეგ, ღელეში, თუ მდინარეში, მაღლობებიდან დაბლობებისაკენ, ზღვისაკენ, ხშირათ ხანგრძლივია და ზანტი. მაინც და მაინც წვეთის, საზოგადოთ, წყლის მოძრაობის მიზეზი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა. პატარა მდინარეებისა და ჩქერების სწრაფი მიმდინარეობა, ჩანჩქერის (водопадъ) მძლავრი ხმაურობა, დიდი და ღრმა მდინარეების მდორე, ნელი დენა, ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელია, რომ დედამიწის გულის მიმზიდველობას დიდი გავლენა აქვს საზოგადოთ ხმელეთის ყველა წყლებზე.

ამნაირათ მიმზიდველობის გამო დედამიწის ზურგზე წვიმის წყალი უსათუოთ თავქვე უნდა დაეშვას და იდინოს მანამდის, სანამ მას არა შეაჩერებს-რა. დედამიწაზე ბევრი ამოღრმავებული ალაგია; ამ ალაგებში წყალი ჩერდება; ამნაირ ალაგებს ტბებს ეძახიან; ხოლო ტბებს დაბალი ალაგიდან წყალი გაუდის ისე, როგორც მაღლობიდან ჩამოუდის, ამიტომაც ტბებში წყალი დიდხანს არ ჩერდება. იქიდან მდინარე გამომდინარდება ხოლმე და თავქვე ზღვისაკენ ისწრაფვის. საზოგადოთ მთელი მდინარეების დენა მაღლობიდან დაბლობისაკენ, თავქვეა მიმართული; ზღვაც კიდე ვეებერთელა ორმოა, რომელშიაც ხმელეთის წყალი გროვდება.

ვთქვათ ქვეყნის ზედაპირი რომ ისე ვაკე და სწორი იყოს, როგორც, მაგალითათ, სახლის იატაკია, მაშინ ამისთანა ქვეყანაში წვიმის წყალი ყოველის მხრივ წავიდ-წამოვიდოდა, დაიღვრებოდა. მაგრამ თქვენ იცით, რომ დედამიწის პირი ამგვარი არ არის. პირ-იქით უსწორ-მასწორია, რადგან ზედ აუარებელი მთა-გორა, ხვრელი, დაბლობია. ასეც რომ არ იყოს თვით ვაკე, პირველი შეხედვით სწორ ალაგზე ბევრათ ოღრო-ჩოღროა და წყალიც ამიტომ ამისთანა ტრიალ მინდორზედაც დაბლობისაკენ მიეშურება, იგი ალმა არასოდეს არ წავა; ამნაირათ თუმცა წვიმა ერთბაშათ ეცემა რომელიმე ადგილს, მაგრამ ერთნაირათ არ იღვრება, რადგან ამ ადგილის ზედაპირი ერთნაირი არ არის; წყალი ყოველთვის დაბლობისაკენ მიისწრაფვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსწორ-მასწორობა აიძულებს მას (წყალს) ღელეებათ და მდინარეებათ გადასელას. ამ რიგათ ღელეები, მდინარეები და ტბები წყლის სადენი ბუნებრიეი მილებია. ამ მილებით მეტი წყალი, რაც მიწაში არ იჭონება, ზღვაში ჩადის.

მაღლობ, მთიან ალაგებში ხშირი და დიდი წვიმა იცის; ამის თანა ალაგებიდან აუარებელი ღელე, მდინარე მიმდინარეობს ხოლმე. მერე ეს ამოდენა წყალი, სანამ ზღვას მიაღწევდეს ხომ სულ ერთიანათ წალეკავს ახლო-მახლო მიდამოებსაო, იფიქრებთ თქვენ. შემცდარი იქნებით, თუ მართლა აგრე იფიქრეთ. არავითარი მიდამოების წალეკვა იქ არ ხდება და აი რატომ: ორი პატარა ღელე როცა ერთი მეორეს უერთდება ჩნდება მოზრდილი ხევი, რომელსაც უფრო ეიწრო კალაპოტი ჭირდება, ეიდრე თვითეულს მათგანს შეერთეეამდის; ორი მდინარეს შეერთების შემდეგ ხშირათ ჩნდება მდინარე უფრო ეიწრო კალაპოტიანი, ეიდრე თვითეული მათგანის შეერთებამდის. ხოლო განსხვავება იმაშია, რომ ეს ახალი მდინარე უფრო ღრმა არის და ჩქარი. ამნაირათ რომელიმე მთა-გორიან ალაგიდან წამოდენილი ასი, ათასი ღელე რამდენი ძირს მოიწევს იმდენი ერთი მეორეს უერთდება, თან ალაგსაც უფრო პატარას იჭერს, ასე რომ ბოლოსა და ბოლოს, შესაძლებელია, მთელი ეს ღელეები ერთ მდინარეთ გადაიქცეს და ზღვას ისე ჩაედინოს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მაკალითს, თავდაღმართ გზას წვიმიან დღეში. ამ გზას რომ ქვეიდან ზევით, აღმართისაკენ, ამოუყვეთ, ნახავთ რომ ღელეები თანდათან მაღლობისაკენ პატარავდებიან, ხოლო როცა მთლათ აიეაკებთ, თავდაღმართის დასაწყისში, ღელეებს სრულიადაც ეელარ შეამჩნევთ. მაგრამ ამ ქედს რომ მეორე გვერდით ჩაუყვეთ, შეამჩნევთ რომ რამდენიც თავქვე მიდიხართ, იმდენი ღელეები დიდდებიან, ფართოვდებიან. ასე რომ ქედის მწვერვალოზე წვიმის წყალი ორათ იყოფა. წყლის ერთი ნაწილი ქედის ერთი მხრით მიექანება, ხოლო მეორე მეორეთი.

აგრეთვე თქვენ რომ ზღვიდან რომელიმე მდინარეს ამოჰყვეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააკვირდეთ, ნახავთ რომ რამდენიც ზევით მოიწევით, დასაწყისისაკენ, იმდენი მდინარე ვიწროვდება, პატარავდება. თანაც გზაზე ამჩნევთ, რომ ეს დიდი მდინარე პატარა მდინარეებათ იყოფა, ხოლო უკანასკნელნი ღელეებათ. ახლა თუ ერთ-ერთს დიდი მდინარის შტოს გაჰყევებით, იმის სათავემდი მიხვალთ. გაივლით კიდევ პატარას და წააწყდებით მაღალ კლდეს, რომლის მეორე კალთებზე ღელეები და მდინარეები უკულმა, მეორე მიმართულებით მიმდინარეობენ. იმ ალაგს, ან და ხაზს, რომელიც მდინარეთა ჯგუფს ორათ ჰყოფს, ჰქვია წყალთა გამყოფი ქედი (водораздѣлъ). ინგლისში, მაგალითათ, მდინარეების ერთი ჯგუფი ატლანტის ოკეანეში ჩადის, ხოლო მეორე ჯგუფი ჩრდილოეთ ზღვაში. რუსეთშიაც ზოგი მდინარეები ბალტიის ზღვას ერთვიან, ზოგიც შავ ზღვას. ჩვენშიაც ბევრია წყალთა გამყოფი ქედები ერთი მხრით კასპის ზღვაში მიმდინარე მდინარეთა შორის, ხოლო მეორე მ̆ხრით შავ ზღვაში; ამათ ჰყოფს კავკასიონის მთების ჩრდილო ფერდოებზე თერგი და ყუბანი, ხოლო სამხრეთ ფერდოებზე რიონი და მტკვარი.

მაგრამ არის ერთი გარემოება, როცა გზას წვიმის დროს მდინარეების ვითარებას ვერ შეეუფარდებთ. მართლაც, გზაზე მხოლოთ წვიმის დროს ან ახალ ნაწვიმარეზე დარბის ღელეები. გადიღებს წვიმა, მზე გამოიხედავს და ღელეებიც შრება, შრება გზაც, მტვერიანდება. ხოლო მდინარეები და ღელეები წვიმის გადაღების შემდეგაც არა შლიან დენას. თვით პაპანაქება სიცხეშიაც მიმდინარეობენ მდინარეები, თუმცა იქ წყალი მაშინ, რასაკვირველია, უფრო ნაკლებია, ვიდრე შემოდგომაზე ან წვიმიან გაზაფხულზე. მერე რათ აქვსთ ასე მუდმივი დენა მდინარეებს? ეს წყალი საიდან გაჩნდა? მოიგონეთ ჩვენი ნათქვამი ქვესკნელის წყლის შესახებ და თქვენც გვიპასუხებთ რომ მდინარეები იმნაირათვე საზრდოობენ ქვესკნელიდან ამონახეთქი წყაროებით, როგორც წვიმის წყლით. წყაროები გვალვის დროსაც-კი არ შრებიან; ამიტომაც მდინარეებში წყალი ულეველია. რა თქმა უნდა, ძალიან დიდი გვალვის დროს ზოგი წყარო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრება, ამისგამო ზოგიერთი მდინარეც, მაგრამ ეს მხოლოთ პატარა მდინარეებს მოუდით. დიდ მდინარეებს-კი, როგორც მაგალითათ მისისიპია ჩრდილო ამერიკაში, იმოდენა წყალი შემოუდის სხვა-და-სხვა ადგილებიდან, რომ ერთი რომელიმე ადგილის გვალვა მისი წყლის რაოდენობას ვერას აკლებს. ზოგიერთ მხარეებში მდინარეები ზაფხულში და გაზაფხულში უფრო დიდდებიან, ვიდრე ზამთარში და შემოდგომაზე. რეინი, მაგალითათ, ზაფხულში მატულობს, ხოლო ზამთარში კლებულობს. ზაფხულში თოვლი სიცხის გამო მალე დნება, აქედან წამომსკდარი წყალი ღელეებსა და მდინარეებს ედინება და იგინიც დიდდებიან. პირ-იქით ზამთარში თოვლი არ დნება, მას ემატება კიდეც. თან სიცივეა, ამიტომაც ღელეები იყინებიან, ესაა მიზეზი, რომ მდინარეების სათავეში ცოტა წყალი შედის და მდინარეებიც შედარებით კლებულობენ.

ახლა გავიმეოროთ მოკლეთ ის რაც წყლის ბრუნვის შესახებ გავიგეთ. წყალი მუდმივ მაღლობი ადგილებიდან ზღვისაკენ მიექანება. წყალი დედამიწის პირზე-კი არ იღვრება, არამედ დაბლობებში გროვდება და ამნაირათ აჩენს მდინარეებსა და ღელეებს. ეს ღელეები და მდინარეები ათასნაირათ გზაში იკლაკნებიან, თანაც დაბლობებისაკენ მიისწრაფვიან, სანამ ბოლოს ვეებერთელა ორმოში, ზღვაში, არ შთაინთქებიან. ზღვიდან-კი მუდამ ორთქლი ადის. ამიტომაც წყალი ისევ ხმელეთზე ბრუნდება, რადგან ორთქლი ჰაერში იკუმშება და მიწაზე წვიმათ და თოვლათ ეცემა, და ამნაირათ წყლის ბრუნვა დაუსრულებლათ ხდება დედამიწაზე.

სახ—ახი





ა კ რ ო ს ტ ი ხ ი.

(წარმოდგენილი გ. ძამუკოვისაგან).

სიცოცხლით იყო მუშაკი,
ოფლი იწურა წმინდაო,
ფხიზელი ქალი, მამაცი,
იმგლოვეთ, გაგვიფრინდაო.
ოფლი არ ზოგა ჯეჯილში
ცხოვრება გაგვიბრწყინაო,
იმის თარგმნების კითხვამა
ცამდისინ აღგვაფრინაო.
იკურთხოს მისი ქალობა
შრომისა მოყვარულიო,
ვემთხვევი მისსა სამარეს,
იგია დამარხულიო.
ლოცვა-კურთხევით მარადათ
იყოს ის ხსენებულიო.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

ჩემი სახელის დამწყობი
ასოა ანაბანისა,
ბოლო ჰოგია მუხისა
საკმაოთ მაღალ ტანისა.
მთელი ომის იარაღი
ყოფილა ძველ დროს ხანისა.

სახუმარო ამოცანები

ოც-და-ათი გაჰყავით ხუთზე, რომ გამოვიდეს ორას ოც-და ორი.

ოცი გაამრავლეთ ოთხზე ისე რომ გამოვიდეს ათას ექვსას ორმოც-და ათი.

გამოსაყენი ცოდნა.

ხშირათ, ბოთლს რომ ყელი მოსტყდება — გადააგდებთ, როგორც გამოუყენარს, მაგრამ მისი ჭურჭლათ გამოყენება ძალიან ადვილია. აიღეთ ყელ-მოტეხილი ბოთლი, ჩაასხით ზეთი ზეითუნისა იქნება, ნიგვზისა თუ სხვა იქამდის, სადამდინაც გინდოდეთ გადაჭრა, დადგით სწორ ადგილს, მერე ცეცხლზე გაახურეთ რკინის წკეპლა და უცბათ ჩაუშვით ბოთლში, გაიღებს ხმაურობას და ერთბაშათ ბოთლი გადიჭრება სწორეთ სადამდინაც ზეთი იყო ჩასხმული. ასე შეიძენთ ჭიქას.



რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.